საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 25 ივლისი. 2019 წ. №150 (8816) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



გიორგი კვესიტაძე: ქართველ ხალხს დიდი ისტორია აქვს, ხშირად რთული და ტრაგიკულიც. ამ ისტორიის გაყალბება ყოვლად დაუშვებელია

საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხისთვის

2019 წლის ივლისს ქ. ეკატერინბურგში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვ. პუტინის მიერ გაკეთებულ კომენტარებში არასწორად წარმოჩნდა საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხები, კერძოდ, ურთიერთობები აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან. ეს არ არის პირველი შემთხვევა. ანალოგიურ ფაქტებს ადრეც ჰქონდა ადგილი, რაზეც ქართველმა მეცნიერებმა არაერთხელ მოახდინეს სათანადო რეაგირება. კერძოდ, გაკვირვება გამოიწვია მის მიერ 2008 წელს, ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრობის დროს, CNN-ისადმი მიცემულ ინტერვიუში გაკეთებულმა განცხადებამ, რომ XVIII საუკუნის შუა პერიოდიდან ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი ერთიანი სახელმწიფოს სახით შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და რომ საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ ი. სტალინმა ე.წ. სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი საქართველოს გადასცა. ამგვარი ინფორმაციები შორს არის ჭეშმარიტებისაგან. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ფაქტების გადამოწმებაა საჭირო. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში მრავალი ასეთი ფაქტის გაყალბება ხდება.

რეალურად საქმე სხვაგვარადაა.

დავიწყოთ იქიდან, რომ ტერიტორიები, რომელიც ოსებსა და აფხაზებს უჭირავთ, ისტორიულად ქართულია. საქართველოს საზღვრების საკითხი საფუძვლიანად გამოიკვლიეს ივანე ჯავახიშვილმა, ასევე სხვა ცნობილმა ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა. მათი გამოკვლევებით და სხვა მნიშვნელოვან წყაროებზე დაყრდნობით აშკარად დგინდება შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო საზღვრები. XI-XIII საუკუნეებში მეფე დავით IV აღმაშენებელი, თამარ მეფე და მათი შთამომავლები ტიტულატურაში ყოველთვის მოიხსენიებდნენ, როგორც „მეფე აფხაზთა, ქართველთა“ და ა.შ.

დავით აღმაშენებელი თავის ანდერძშიც ხაზგასმით მიანიშნებს, მისი მამული გადაჭიმულია „ნიკოფსიიდგან დარუბანდის ზღუდემდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწადმდე“.

აფხაზური ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი დიმიტრი გულია საგანგებოდ აღნიშნავდა: „Абхазия которая всегда была неотъемлемой частью Грузии, жила с нею на протяжении всей истории одной жизнью, органически участвовала в созидании грузинской культуры и государственности и играла существенную роль в борьбе за свободу и независимость страны, в борьбе за объединение отдельных грузинских племен и областей в единое мощное национальное грузинское государство“ (Д. Гулия. О моей книге „История Абхазии).

იხ. 2-3 გვ.

მეორე საუკუნეში გადამდგარი „საქართველოს რესპუბლიკა“ 101

ჭეშმარიტ მამულიშვილთ ეხმიანება

შარშან ამ დროს, ჩვენი გაზეთი 100 წლის გახდა. დღეს 101 წლისაა. მთელი ამ არცთუ მცირე დროის მანძილზე „საქართველოს რესპუბლიკა“, პირველი დამოუკიდებელი საქართველოს პირმშო და სეხნია, მიუხედავად ჟამთა ცვლისა, ყოველთვის ქვეყნისა და ქართველი ხალხის გულის ამოძახილი იყო. შეძლებისდაგვარად არასოდეს არ უღალატია იმ დიდი ეროვნული სიმართლისთვის, ურომლისოდაც შეუძლებელია ქვეყნის ჭეშმარიტი წინსვლა და სწორი განვითარება.

სწორედაც ამ დიდი ეროვნული სიმართლისთვის დასაჯა გაზეთი წინა, ანტიეროვნულმა და ანტისახელმწიფოებრივმა ეგრეთ წოდებულმა „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ, თითქმის ათი წლის განმავლობაში ქვეყნისთვის შავ ჭირად ქცეულმა, რომელმაც სხვა ათობით რედაქციასთან ერთად მოძალადურად გამოგვყარა ქუჩაში გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან, და დღემდე ჩვენს ჭერს ვერ ვეღირსეთ. არადა, დიდი, ძალიან დიდი იმედი გვქონდა, რომ 2012 წელს ქვეყნის სათავეში მოსული „ოცნება“, რომელსაც, როგორც იტყვიან, პირველი დღიდანვე ხმალამოწვდილი დაუდგა გვერდით ჩვენი გაზეთი ისევ და ისევ შავ ჭირად შემორჩენილ ბნელ ნაციონალურ ძალთა წინააღმდეგ მოსაგერიებელ ბრძოლაში და საერთოდ ქვეყნის აღმშენებლობისა და უტყუარი დემოკრატიული სულისკვეთების დამკვიდრებისთვის ყოველდღიურ მოღვაწეობაში, კეთილი, შემაგულიანებელი თვალით გამოიხედავდა პრესისკენ, კერძოდ, ქვეყნის ერთგული „საქართველოს რესპუბლიკისკენ“.

მაგრამ, ჩვენდა დიდად სამწუხაროდ, არსაიდან ხმა, არსით ძახილი... ეს მაშინ, როცა როგორც პრესას, საერთოდ, და, ალბათ, უწინარესად ჩვენს ფინანსურად შეჭირვებულ გაზეთს, რომელიც უბინაობის გამო წლების მანძილზე „მომთაბარეობას“ ეწევა, ისღა დარჩენია, რომ ქვეყნის მომავალზე დაფიქრებული კეთილი ადამიანების იმედად დარჩენილმა, ჩვენს საზოგადოებას, შავისა და თეთრის კარგად გამრჩევ ჩვენს ინტელიგენციას მიმართოს შეწევნისთვის. ეს გაზეთის ფინანსურად გამაცოცხლებელი შეწევნა კი, უპირველეს ყოვლისა, ის არის, რაც უფრო მეტი და მეტი მკითხველი გამოიწერს ჩვენს გაზეთს.

ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ შეურიგებლად მებრძოლი ისეთი გაზეთის სიკვდილის პირას მიყვანა, როგორიც „საქართველოს რესპუბლიკაა“, სხვა რომ არაფერი, საზოგადოებრივი დანაშაული იქნება და ქვეყნის დამანგრეველ ბნელ ძალებს კიდევ უფრო მეტი გალაღების საშუალებას მისცემს.

ასეთია მეორასე წელიწადში გადამდგარი და ერთმნიშვნელოვნად მუდამ ქვეყნისა და ხალხის სამართლიან სამსახურში ჩამდგარი „საქართველოს რესპუბლიკის“ ფრიად და ფრიად მოკრძალებული იმედიანი თხოვნა ჩვენი პასუხისმგებლიანი საზოგადოების ნამდვილად მამულიშვილურად განწყობილ შეგნებულ წევრთა მიმართ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ ყველაზე სახალხო გაზეთი!

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲘ ᲛᲝᲰᲐᲯᲘᲠᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲐᲫ ᲡᲐᲛᲡᲣᲜᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲨᲘ, ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ, 1864 ᲬᲔᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲒᲘᲙᲣᲚᲘᲪ. ᲐᲛ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲣᲧᲐᲚᲑᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲑᲔᲚᲘᲐ

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

სადავო არ არის, რომ ოსები ჩრდილო კავკასიაში (ახლანდელი ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე) გარკვეული საუკუნეების წინ დასახლდნენ სკვითურ-სარმატულ ტომებთან ერთად (ნიშანდობლივია, რომ ოსური ენა განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ენათა ჩრდილო აღმოსავლურ ჯგუფს). X-XII საუკუნეებში ოსეთის სამეფოს ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა ქვეყანასთან, მათ შორის საქართველოსთანაც (XI-XII სს-ში ოსეთი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო). თემურ-ლენგის შემოსევებმა ოსების გაერთიანებას ბოლო მოუღო და ისინი გაიფანტნენ სხვადასხვა მხარეს (უნგრეთში, ბალკანეთის ქვეყნებში და სხვ.). ოსების ერთი ნაწილი შეეცადა ქართლში გადმოსვლას და დამკვიდრებას, მაგრამ ქართველ ფეოდალთა წინააღმდეგობის გამო ეს ვერ მოხერხდა და იძულებულნი გახდნენ, უკან გაბრუნებულიყვნენ. XVII-XVIII საუკუნეებში ოსები საქართველოს მთისწინა და ბარის ზოლში (ქართლის ჩრდილო განაპირა ტერიტორიაზე) ჩამოდიან და სახლდებიან. მცირე ნაწილი (კუდაროს ოსები) იმერეთის სამეფოში ჩასახლდა.

ქართლში დამკვიდრებული ოსები არაგვისა და ქსნის ერისთავებისა და მაჩაბლების სამფლობელოში მოხვდნენ. ისინი ფეოდალებს ქართველი ყმა-გლეხების მსგავსად ემსახურებოდნენ. ნიშანდობლივია, რომ ოსები ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ მომხდური მტრის წინააღმდეგ.

საკმარისია, გავეცნოთ ოსი ისტორიკოსის, პროფესორ გ. თოგოშვილის გამოკვლევებს, მის სტატიებს ქართულ ენციკლოპედიაში, განსაკუთრებით სპეციალურ ტომში „საქართველოს სსრ“ (თავი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სამხრეთი ოსეთი“ 1981 წ., გვ. 337-339), რომ რეალურად წარმოვიდგინოთ სამხრეთ ოსეთის ისტორია. ამ თვალთახედვით საინტერესოა ვ. აბაევის, ბ. ფლიევის, ო. თედეევას, ზ. გაგლოითის, პ. დოგუზოვისა და სხვ. ნაშრომები. აი, რას წერს ოსური მეცნიერების პატრიარქი ვასილ აბაევი: **„Главный Кавказский хребет-естественная граница между Грузией и Осетией, а всякая попитка размыть эту границу повлечет за собой состояние перманентного конфликта между грузинами и осетинами... надо прежде всего покончить с разговорами об отторжении Южной Осетии от Грузии. Ни одно грузинское правительство с ‘тим никогда не согласится и будет право, потому что это будет означать нарушение территориальной целостности Грузии.**

Кто хочет мира между осетинами и Грузинами, должен на всегда отвергнуть идею присоединения Южной Осетии к Северной. Кто хочет мира между Грузией и Россией, также должен оставить эту идею. Такова реальность („Независимая газета“, 1992 г., 22.01. №13)“. აი, ჭეშმარიტი ოსი პატრიოტის, დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მოსაზრება. კომენტარი ზედმეტად მიმაჩნია. სამწუხაროა, რომ ამგვარი სიბრძნე არც ოსმა და არც რუსმა ფუნქციონერებმა არ გაითვალისწინეს.

ბოლო პერიოდში რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ვრცელდება აბსურდული მტკიცება — თითქოს 1774 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთს შეუერთდა არა ისტორიული ოსეთის ერთი ნაწილი, არამედ მთელი ოსეთი. აქ შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილსაც გულისხმობენ, სადაც შემდგომში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა. 2004 წლის 10 ივლისს რუსეთის დუმამ ყოვლად უპასუხისმგებლო, შეიძლება ითქვას, აბსურდული განცხადება გააკეთა, თითქოს 1774 წელს ოსეთი ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს. აქედან გამომდინარე, საჭიროდ ჩაითვალა, რომ რუსეთმა დაიცვას ოსი მოქალაქეების უფლებები. აქ საქმე გვაქვს ისტორიის ელემენტარულ უცოდინარობასთან. აღვნიშნოთ, რომ **იმ დროს გეოგრაფიული ცნება „ოსეთი“ არ არსებობდა. ცხადია, რომ არც ასეთი სახელმწიფო არსებობდა. თვით ოსებსაც, რომლებიც ქართლის მთიანეთში ცხოვრობდნენ, თავი ხიზნებად მიაჩნდათ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსი ჩინოვნიკები ცდილობენ, დაამკვიდრონ ხელოვნური ტერმინები „ჩრდილოეთი ოსეთი“ და „სამხრეთი ოსეთი“. XIX საუკუნემდე არავითარი საბუთი არ მოიპოვება, რომელიც დაამტკიცებდა, რომ შიდა ქართლის მთიანეთი ოსეთად იწოდებოდა. რეალურად, 1774 წელს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა ჩრდილო კავკასიის სამი ხეობის — ალაგირის, ქურთათის და თაგაურის ოსური თემები. მეოთხე თემი — დიგორი — ყაბარდოს გამგებლობაში იყო და რუსეთს 1781 წელს შეუერთდა. რაც შეეხება შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილს, სადაც შემდგომში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა, ჯერ ერთიანი საქართველოს, შემდეგ ქართლისა და ბოლოს ქართლ-კახეთის სამეფოში შედიოდა განუყოფლად.** 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე თანდართული მასალები საშუალებას გვაძლევს, დაბეჯითებით ვთქვათ, რომ შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი და მისი უკიდურესი ჩრდილოეთი პროვინცია დვალეთი ქართლ-კახეთის შემადგენლობაში შედიოდა. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსირების (1801 წ.) შემდეგ შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი დვალეთითურთ ერთხანს იმერეთის გუბერნიაში შედიოდა, შემდეგ თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში. 1858 წ. კავკასიის მეფისნაცვლის ალექსანდრე ბარიატინსკის განკარგულებით დვალეთი „კავკასიის ლინიის“ ოსეთის ოკრუგს გადასცეს. ამგვარად, ჩრდილოეთ ოსეთს მიუერთეს მხოლოდ დვალეთი და არა შიდა ქართლის ის მიწა, სადაც შემდგომში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ჩამოყალიბდა.

საყურადღებოა, რომ ტერმინის „სამხრეთ ოსეთი“ გამოყენება დაიწყო მხოლოდ 1860-იანი წლებიდან. მანამდე, რუსეთის ყველა ოფიციალურ დოკუმენტში საქართველოში მცხოვრები ოსების მიმართ გამოიყენებოდა სავსებით მართებული ტერმინი — **„ჩრდილო-ქართლის ოსები“.**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის (1918 წ.) შემდეგ დვალეთი კვლავ საქართველოში შემოვიდა. 1920 წლის 7 მაისის რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა საქართველო-რუსეთის საზღვარი — იგი კავკასიის მთავარ ქედზე გადიოდა. ამდენად, სრულიად ცხადია, რომ შიდა ქართლის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი — დვალეთი საქართველოს შემადგენლობაში იყო.

საბჭოთა რუსეთს მიზნად ჰქონდა დასახული შიდა ქართლის შეერთება და ყველანაირად ცდილობდა ოსებსა და ქართველებს შორის კონფლიქტური სიტუაციის შექმნას. საბჭოთა რუსეთმა ოსეთში და შიდა ქართლში შეიარაღებული აჯანყების ინსპირირება მოახერხა. მიზანი იყო „სამხრეთ ოსეთში“ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მისი საქართველოსაგან ჩამოცილება და საბჭოთა რუსეთისათვის მიერთება. 1920 წელს საბჭოთა რუსეთმა და ბოლშევიკებმა აჯანყებულ ოსებს ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი, გამოეცხადებინათ ე.წ. სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლება და ეს ტერიტორია საბჭოთა რუსეთის ნაწილად გამოაცხადეს. ეს აქტი ყველა ნორმის დარღვევით გატარდა: დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, იგნორირებულ იქნა ქართველი მოსახლეობის აზრი და ნება. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტის 1920 წლის 23 მარტის დადგენილებაში ვკითხულობთ: **„1. Организовать ревком в Южной Осетии... 2. Обявить Советскую власть... 3. Немедленно сформировать вооруженный отряд. 4. Войти в связь с Северной... в распоряжении ревкома отпустить 100 тысяч рублей (сто тысяч рублей‘“.**

არის ასეთი მიმართვაც: **„Москва, ЦК РКП(Б‘, товарищу Ленину и Чичерину. Согласно приказу Кавказского Краевого комитета от 23 марта, подвержденному особыми Курьерами того же Комитета... 8 июня в Южной Осетии провозглашена Советская власть“.** არსებობს სხვა მასალებიც, საიდანაც თვალნათლივ ჩანს, თუ ვისი კარნახით გააჩაღეს ოსებმა ძმათამკვლელი ბრძოლა. **ამდენად, საქართველოს „ნაციონალ-შოვინისტური“ მთავრობის დადანაშაულება ოსი ხალხის „გენოციდში“, როგორც ამას ცდილობს ზოგიერთი ვაიისტორიკოსი, რბილად რომ ვთქვათ, უზნეობაა.**

ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ განხორციელდა საბჭოთა რუსეთისა და ბოლშევიკური პარტიის მზაკვრული გეგმა — 1921 წლის თებერვალში საქართველო გასაბჭოვდა, რაც, ფაქტობრივად, ანექსიის (უკვე მეორედ) ტოლფასი იყო. ამით საბჭოთა რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. ნიშანდობლივია, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთს ბოლშევიკებმა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური ოლქის სტატუსი მისცეს (1922 წ. აპრილი). რაც შეეხება ოსების ისტორიულ სამშობლოს — ჩრდილოეთ ოსეთს, მას ორი წლის შემდეგ (1924 წლის ივლისი) მისცეს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და იგი რუსეთის შემადგენლობაში დარჩა. ე.წ. სამხრეთ ოსეთში შევიდა მეტ-ნაკლებად ოსური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული რაიონები და ხელოვნურად მიმატებული ქართული ქალაქი ცხინვალი (1900 წლის „Кавказский календарь“-ის მიხედვით XX საუკუნის დადგომისას ცხინვალში ცხოვრობდნენ ქართველები, ქართველი ებრაელები და სომხები) და მის ირგვლივ მყოფი რამდენიმე ქართული სოფელი. ეს გარკვეული ძალადობით მოხდა და ქართველი მოსახლეობის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია (მასალები იხ. წიგნში „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან“, თბ., 1991, გვ. 56-73). ავტონომიური ოლქის შექმნამ იმ რეგიონის ქართული მოსახლეობა საკუთარ სამშობლოში ეროვნულ უმცირესობად აქცია, რაც, თავის მხრივ, ადამიანისა და ერის უფლებათა და თავისუფლებათა უხეში დარღვევა იყო.

საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხისთვის

ოსი ავჯანყებულები. 1920 წელი

აუცილებელია, ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ოსებს საქართველოს შემადგენლობაში ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარების ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი. საბჭოთა კავშირის დაშლის წინ, 1990-91 წლებში, საქართველოში 100 ზოგადსაგანმანათლებლო ოსური სკოლა იყო, აქედან 90 — ე.წ. სამხრეთ ოსეთში. აქ სწავლა ოსურ ენაზე მიმდინარეობდა. დამოუკიდებელ საგნებად ისწავლებოდა ოსური ენა და ოსური ლიტერატურა. ცხინვალში ფუნქციონირებდა პედაგოგიური ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, სამედიცინო, მუსიკალური, სამხატვრო სასწავლებლები; პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები და სხვ. 1979 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, ე.წ. სამხრეთი ოსეთი უმაღლესგანათლებამიღებულთა რაოდენობით ყოველ ათას სულ მოსახლეზე საბჭოთა კავშირში მეორე ადგილზე იყო. 1927 წელს შეიქმნა მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელიც შემდგომში გარდაიქმნა სამხრეთ ოსეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტად (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში). ცხინვალში მომზადდა და გამოიცა ოსეთის ისტორიის (დოკუმენტები და მასალები) მრავალტომეული, „სამხრეთ ოსეთის ისტორიის“ ორტომეული, „ოსური ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ოთხ ტომად, „ოსური ლიტერატურის ისტორიის“ მრავალტომეული, ოსური ზღაპრების სამტომეული, ოსური სიმღერების კრებული (ნოტებითურთ). აქ ფუნქციონირებდა სახელმწიფო ეროვნული თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სამხატვრო გალერეა, საჯარო ბიბლიოთეკა; მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა კავშირები, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოება, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ეროვნული ანსამბლი. მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა რადიომაუწყებლობა, გამოიცემოდა გაზეთები, ჟურნალები, მხატვრული ლიტერატურა. 1988 წელს ავტონომიურ ოლქში ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან შედარებით, ყოველ 10 ათას ოსი ეროვნების მოსახლეზე 5-ჯერ მეტი წიგნი გამოიცა 3-ჯერ მეტი ტირაჟით. როგორც ვხედავთ, ოსებს საქართველოს სახელმწიფო და ქართველი ხალხი ყველანაირ საშუალებას აძლევდა ეროვნულ-კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისათვის.

რაც შეეხება რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, აქ ვითარების დასახასიათებლად მოვიტანთ მცირე ამონარიდს ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ა. გალაზოვის პუბლიკაციიდან: „Мне всегда искренне жаль молодых людей моей национальности, когда, несмотря на знание иностранных языков и мировой цивилизации, они чувствуют себя неуютно дома в силу незнания элементарных основ осетинской культуры... Национальную молодежь, к примеру лишили ее родного языка. До прошлого года в Северной Осетии фактически не было ни одной школы с осетинским языком обучения“ (გაზ. „Правда“, 1989, 11.XI.). აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.

რაც შეეხება აფხაზეთს, ისტორიულ სიმართლეს არ შეესაბამება სპეკულაცია იმის შესახებ, თითქოს საქართველო, ან თუნდაც მხოლოდ დასავლეთ საქართველო, აფხაზეთის შემადგენლობაში შედიოდა. ისტორიის გამყალბებლები ამას იმით „ასაბუთებენ“, რომ თითქოს VIII საუკუნის 70-იან წლებში აფხაზეთის ერისთავმა ლეონ II, რომელიც საბოლოოდ თავისუფლდება ბიზანტიისაგან, თავი აფხაზთა მეფედ გამოაცხადა და დედაქალაქი ანაკოპიიდან ქუთაისში გადაიტანა. ქუთაისი მაშინაც და მრავალი საუკუნით ადრეც, საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი იყო. შემდეგ, ლეონ II-ის აფხაზეთის მეფედ გამოცხადება და აფხაზეთის დედაქალაქის ქუთაისში გადატანა, მხოლოდ ქართული პოლიტიკური წრეების აქტიური მხარდაჭერითა და მცდელობით გახდა შესაძლებელი და ბოლოს, კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ: 1. ეს სამეფო იყო ქართული სამეფო; 2. მეფეები თავიანთი კულტურული კუთვნილებით იყვნენ ქართველები და 3. მათი გენერალური სტრატეგიული პოლიტიკური კურსი ყოველთვის იყო საერთო ქართული შიდა და საგარეო პოლიტიკური კურსის გატარება. ისინი საუკუნეების განმავლობაში იღვწოდნენ ქართული სახელწიფოს გაერთიანებისათვის. მაშასადამე, ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქად გამოცხადება იყო არა იმის მანიშნებელი, რომ ქუთაისი, იმერეთი და მთელი დასავლეთ საქართველო აფხაზეთში შედიოდა, არამედ პირიქით, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ადრევე და მაშინაც, აფხაზეთი საქართველოს ორგანული და განუყოფელი ნაწილი იყო.

იმის დასამტკიცებლად, რომ თითქოს აფხაზეთი ყოველთვის დამოუკიდებელი იყო, ისტორიის ფალსიფიკატორები ასახელებენ ფაქტს, რომ აფხაზეთი რუსეთს ნებაყოფლობით შეუერთდა 1810 წელს, მაშინ როდესაც საქართველო რუსეთს 1801 წელს შეუერთდა. ეს აშკარა სიყალბე და თვალის ახვევისათვის მოგონილი ხრიკია. ისტორიიდან კარგად არის ცნობილი და ამაზე არავინ დავობს, რომ **1801 წელს რუსეთმა შეიერთა არა მთელი საქართველო, არამედ მხოლოდ მისი აღმოსავლეთი ნაწილი — ქართლი და კახეთი. დასავლეთ საქართველოს ნაწილები კი, იმერეთის სამეფო, გურიისა და სამეგრელოს სამთავროები რუსეთმა შეიერთა ასევე ცალ-ცალკე, სხვადასხვა წლებში და ეს პროცესი 30 წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა. რაც შეეხება აფხაზეთს, რუსეთმა ისიც ნაწილ-ნაწილ შეიერთა: სამურზაყანო 1805 წელს, საკუთრივ აფხაზეთი — 1810 წელს, ხოლო წებელდა — 30-იან წლებში. საინტერესო და ბევრის მთქმელია, რომ აფხაზების მიერ რუსეთის იმპერატორის სახელზე 1810 წელს გაგზავნილი თხოვნა იმპერიაში შესვლის თაობაზე, დაწერილია ქართულ ენაზე.**

> **1864 წელს, მას შემდეგ, რაც აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს მიხეილ შერვაშიძეს და მის შთამომავლობას სამუდამოდ ჩამოართვეს აფხაზეთის მართვის უფლება, სამთავროს გაუქმების შემდეგ აფხაზეთს უწოდეს სოხუმის სამხედრო განყოფილება. მაგრამ საყურადღებოა, რომ რუსეთის იმპერატორმა აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში დატოვა, ქუთაისის გუბერნიაში შეიყვანა და სამხედრო განყოფილება ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაუქვემდებარა.**

აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში რუსეთი ცნობდა მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაშიც.

მას შემდეგ, რაც საქართველო გასაბჭოდა (1921 წ.), აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში იყო და აქვე დარჩა. ასე რომ, ამ ტერიტორიის ვინმესგან (რუსეთისა თუ ი. სტალინისაგან) გადმოცემის საჭიროება არ არსებობდა. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება აფხაზეთს საქართველოს განუყოფელ ნაწილად აღიარებდა.

> **თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, ისტორიულად ყოველთვის იყო საერთო ქართული ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სივრცის ორგანული ნაწილი. 1918 წლის 11 ივნისს აფხაზეთის სახალხო საბჭოსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც აფხაზეთი გაერთიანდა დანარჩენ საქართველოსთან ავტონომიის უფლებით. ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა აფხაზეთის ახალარჩეულმა სახალხო საბჭომ 1919 წლის 20 მარტს. 1920 წლის 16 ოქტომბერს მიღებული იქნა აფხაზეთის ავტონომიის კონსტიტუცია, რომელმაც ხაზგასმით დააკანონა აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. ეს დებულება, თავის მხრივ, გაამაგრა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ, რომელიც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო 1921 წლის 21 თებერვალს. საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლის 16 დეკემბერს განსაკუთრებული „სამოკავშირეო ხელშეკრულებით“ აფხაზეთი შევიდა საქართველოს შემადგენლობაში ე.წ. „სახელშეკრულებო რესპუბლიკად“, თუმცა რეალურად იმთავითვე განიხილებოდა, როგორც საქართველოს ავტონომიური ერთეული. 1931 წელს აფხაზეთი გარდაიქმნა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად (ასსრ) საქართველოს შემადგენლობაში.**

1922 წლის დეკემბერში, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა საქართველო და არა აფხაზეთი. აფხაზეთი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი. აფხაზეთს რუსეთთან არასდროს ჰქონია გაფორმებული ცალკე ხელშეკრულება, არასდროს ჰყოლია რუსეთში თავისი წარმომადგენელი და არც რუსეთს ჰყოლია არასდროს თავისი ოფიციალური წარმომადგენლობა აფხაზეთში. საქართველოში კი ჰქონდა. ისევე, როგორც საქართველოს ჰქონდა თავისი ოფიციალური წარმომადგენლობა რუსეთში.

საბჭოთა კავშირის მიერ აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში აღიარებას ადასტურებს ის უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რომ აფხაზეთის კომუნისტური პარტია არასდროს განიხილებოდა როგორც დამოუკიდებელი პარტიული ორგანიზაცია, ის ყოველთვის განიხილებოდა მხოლოდ როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის შემადგენლობაში მყოფი ავტონომიის პარტიული ორგანიზაცია თავისი საოლქო კომიტეტით, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ემორჩილებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დამოუკიდებელმა რუსეთმაც აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და აფხაზეთი ცნო საქართველოს შემადგენლობაში. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში კონფლიქტის შემდეგ თვითგამოცხადებული დე ფაქტო ხელისუფლება ატარებდა სხვადასხვა არჩევნებს, 2008 წლამდე, რუსეთის ხელისუფლება მათ ყოველთვის უკანონოდ აცხადებდა და არ ცნობდა არჩევნების შედეგებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან კარგად ჩანს, რომ 2008 წლის აგვისტომდე რუსეთი აფხაზეთს ყოველთვის აღიარებდა საქართველოს განუყოფელ ნაწილად.

> **აქვე გვინდა, აღვნიშნოთ კიდევ ერთი სპეკულაციის თაობაზე, რომელსაც ისტორიის გამყალბებლები ხშირად მიმართავენ. ისინი აპელირებენ იმაზე, რომ თითქოს მათ საქართველოდან გამოყოფის უფლებას აძლევს გაეროს მიერ დეკლარირებული პრინციპი, რომელშიც თვითგამორკვევა იკითხება, როგორც ეროვნებათაშორისი ურთიერთობების დემოკრატიული რეგულირების ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკურ-სამართლებრივი პრინციპი. ეს მართლაც ასეა, მაგრამ „ივიწყებენ“, რომ გაეროს, ასევე დეკლარირებული აქვს სამი პოლიტიკურ-სამართლებრივი პრონციპი, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული: 1. გარკვევა იმისა, თუ ვის ეკუთვნის ტერიტორია, რომლებზეც თვითგამორკვევა სურთ. 2. ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთა ეთნიკური შემადგენლობა და 3. თავისი ნება გამოყოფის შესახებ უნდა გამოხატოს ყველა ეროვნების მცხოვრებმა და არა მხოლოდ მათ, ვისაც გამოყოფა სურთ. თუ ამ სამიდან ერთი პრინციპი მაინც არ არის დაკმაყოფილებული, გაერო მიიჩნევს, რომ თვითგამორკვევაზე საუბარი არ შეიძლება.** აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში კი დარღვეულია სამივე პრინციპი. დარღვეულია საერთაშორისო სამართლის მეოთხე უმნიშვნელოვანესი პრონციპიც — **ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობის პრინციპი.**

აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ გაოცებას იწვევს რუსეთის ხელისუფლების სხვადასხვა მაღალი და უმაღლესი დონის წარმომადგენლების მიერ არაერთი ღიად გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოს რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება იყო პროპორციული პასუხი გაეროს მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე. კი მაგრამ, რა კავშირი აქვს ამას საქართველოსთან, ამის გამო რატომ უნდა დაისაჯოს საქართველო, მით უფრო, რომ საქართველომ კოსოვოს დამოუკიდებლობას ცალსახად მხარი არ დაუჭირა, ვთვლით, რომ ეს არამცთუ სიმეტრიული, არამედ აშკარად არაადეკვატური და უსამართლო პასუხია.

ქართველ ხალხს დიდი ისტორია აქვს, ხშირად რთული და ტრაგიკულიც. ამ ისტორიის გაყალბება ყოვლად დაუშვებელია.

გიორგი კვესიტაძე,
აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი.

რა მოჰყვება პუტინის მიერ „გენოციდის“ ხსენებას

მიმდინარე წლის 9 ივლისს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა 1918 წელს აფხაზეთში და 1920 წელს სამაჩაბლოში განვითარებულ მოვლენებს „გენოციდი“ უწოდა: „ეს ყველაფერი სწორედ ისაა, რასაც დღეს გენოციდს უწოდებენ... ურიგო არ იქნება, ეს ყველაფერი იცოდეს და ახსოვდეს საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას, თუ სურთ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხებთან ურთიერთობები დაამყარონ“.

უკვე 10 დღეში კი 19 ივლისს ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო პარლამენტმა რუსეთს „1920 წელს საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ ოსების გენოციდის“ აღიარების თხოვნით მიმართა. მიმართვის ტექსტი რუსეთის პრეზიდენტსა და მთავრობასაც გადაეგზავნათ.

„ქართული აგრესიისთვის ფორმალურ საბაბად სამხრეთ ოსეთის რევკომის 1920 წლის 8 ივნისის ბრძანება იქცა „სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა და საბჭოთა რუსეთისადმი მიერთების შესახებ“. უკვე 12 ივნისს კი ქართულმა არმიამ პოლკოვნიკ ჩხეიძის ხელმძღვანელობით სამხრეთ ოსების წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაცია დაიწყო. ქართულმა ჯარებმა გადაწვეს პრაქტიკულად ყველა ოსური სოფელი ცხინვალიდან ჩრდილოეთ დაბა რუქამდე, გაწყვიტეს მოსახლეობა, ბავშვების, ქალებისა და მოხუცების ჩათვლით“, — ნათქვამია მიმართვის ტექსტში.

როგორც მიმართვის ერთ-ერთი ინიციატორი — პარტია „ნიხასის“ წევრი, დე ფაქტო დეპუტატი **დავით სანაკოევი** განმარტავს, იდეა ადრეც არაერთგზის დამდგარა დღის წესრიგში, ამჯერად კი მისი წამოწევა იმ გარემოებას უკავშირდება, რომ „მომავალ წელს ოსების გენოციდის მე-100 წლისთავია“:

„ჩვენ პირველები არ ვართ, ვისაც ოსების გენოციდის აღიარების საკითხი დაუყენებია დღის წესრიგში: ჩვენამდე იგი გასული საუკუნის 90-იან წლებში წამოსწიეს, შემდეგ, 2006-2007 წლებში დეკლარაციაც კი მომზადდა 1920 და 1989-92 წ.წ. გენოციდის პოლიტიკურ-სამართლებრივ შეფასებასთან ერთად. ვთვლით, რომ საერთაშორისო საზოგადოების მიერ 1920 წლის გენოციდის აღიარების შემთხვევაში საქართველო 1989 და 2008 წლებში ასე ვეღარ მოგვექცეოდა“.

როგორც რუსი პოლიტოლოგი **ნიკოლაი სილაევი** აღნიშნავს, პუტინის მიერ იმ მოვლენების „გენოციდად“ შეფასებამ ოსები და აფხაზები შეაგულიანა, თუმცა პრეზიდენტის ეს სიტყვები სულაც არ გულისხმობს იმას, რომ რუსეთი მზადაა, აფხაზებისა და ოსების გენოციდი აღიაროს. მეტიც, მისი აზრით, ნაკლებ სავარაუდოა, მოსკოვმა მსგავსი ნაბიჯი გადადგას:

„ზოგადად, რუსეთი გენოციდების იურიდიულად აღიარებას ძალზე ფრთხილად ეკიდება. მართალია, აღიარეს სომხების გემოციდი, ასევე ჰოლოკოსტი, თუმცა არა მგონია, გენოციდად კიდევ რამე აღიარონ. რაც შეეხება მოსაზრებას, რომ რაკი საქართველომ ჩერქეზების XIX საუკუნის გენოციდი აღიარა, ახლა საპასუხოდ რუსეთი აღიარებს XX საუკუნეში აფხაზებისა და ოსების გენოციდს, ჩემი ინფორმაციით, თბილისის მიერ ჩერქეზების გენოციდის აღიარებას მოსკოვი ისტორიული და მით უფრო სამართლებრივი საფუძვლების არმქონე გადაწყვეტილებად მიიჩნევს, რომელიც საქართველოს არ უნდა მიეღო, ხოლო არასწორი გადაწყვეტილების საპასუხოდ ანალოგიური ნაბიჯების გადადგმას რუსეთი არ დაიწყებს“.

მისი კოლეგა **ვლადიმირ ნოვიკოვი** კი ოსური დე ფაქტო პარლამენტის მიმართვას „მსოფლიოს წინაშე ოსების ისტორიული სიმართლის შესახებ განაცხადად“ აფასებს და თვლის, რომ „სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოს“ არსებობას ორი სახის საფუძვლები გააჩნია: პოლიტიკურ-სამართლებრივი და ისტორიული.

„პირველი — პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძველი უკავშირდება გვიანი საბჭოთა პერიოდის კანონმდებლობას სამოკავშირეო რესპუბლიკების სსრკ-ის შემადგენლობიდან გასვლისა და ეროვნულ ავტონომიებთან მათი ურთიერთობის შესახებ. აი, ამ სამართლებრივი საფუძვლების თვალსაზრისით სამხრეთ ოსეთის ქცევას ნაკლს ვერ მოუძებნი. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრიობის ოპონენტების განცხადებებს, რომ „შესაძლოა, პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძველი არსებობდა კიდეც, თუმცა ისინი არ გულისხმობდა საქართველოს უცილობელ დაშლას და რომ არა მოსკოვის მხრიდან სეპარატისტების წაქეზება, ეს არ მოხდებოდა“, ამას სწორედ მეორე — ისტორიული საფუძვლების დასახელებით უნდა ვპასუხობდეთ. კერძოდ, პოსტსაბჭოთა კონფლიქტი — ეს არ იყო მოსკოვის მიერ ინსპირირებული სტიქიური მოძრაობა; ორჯერ თავის ისტორიაში — 1918-1921 და 1989-1992 წლებში საქართველომ რუსეთის იმპერიად ან საბჭოთა კავშირად წოდებული დიდი ქვეყნისგან სეცესია განახორციელა და აი, ამ მომენტებში ყოველთვის ხდებოდა ისე, რომ გარკვეული ქართული პოლიტიკური ძალები ოსების მიმართ, ასე ვთქვათ, ექსტრემალურად გენოციდური სახით იქცეოდნენ, ანუ, შეიძლება, ითქვას, რომ რუსეთის იმპერიის ნამსხვრევებზე ქართული სახელმწიფოებრიობის მონიშვნის მცდელობა უმწვავეს ეთნიკურ კონფლიქტამდე დავიდა და ეს კონფლიქტი არ დაიყვანება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნიუანსებამდე, როგორც ცდილობს ამის წარმოჩენას თბილისი. სწორედ ესაა ჩვენი ისტორიული სიმართლე“.

რუსი პოლიტოლოგის არგუმენტებს აბსურდს უწოდებს კავკასიოლოგი **ალეკო კვახაძე**.

„საბჭოთა კავშირამდე სამხრეთ ოსეთის რაიმე სუბიექტის სახით არსებობა ნონსენსია: ცხინვალის მთელი რეგიონი შედიოდა თბილისის გუბერნიაში, რომელიც ქართლ-კახეთის სამართალმემკვიდრე გახლდათ. მეტიც, ცხინვალში თითქმის არ ცხოვრობდნენ ოსები. იქ ძირითადად წარმოდგენილნი იყვნენ ქართველები, სომხები და ებრაელები. გარდა ამისა, ჩრდილოეთ ოსეთში არსებული ალაგირის რაიონის ნაწილიც — ისტორიული დვალეთი თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა, კიდევ უფრო ადრე — ქართლ-კახეთის სამეფოს. ის ოსებიც კი, რომლებიც თანამედროვე ჯავის რაიონში სახლობდნენ, ემორჩილებოდნენ საქართველოს მეფეებსა თუ მათ სამართალმემკვიდრეებს. ამდენად, ოსური სახელმწიფოს არსებობაზე საუბარი სრული აბსურდია. ეს თვით ერთ-ერთმა რუსმა იმპერიალისტმა მაქსიმ შევჩენკომაც დაადასტურა საკუთარ ინტერვიუში“,— განუცხადა **„აქცენტს“** კავკასიოლოგმა.

რაც შეეხება გენოციდს, კავკასიოლოგი სეპარატისტებს ურჩევს, მის არსში გაერკვნენ.

„გენოციდის საკითხით მანიპულაცია ოსი სეპარატისტების ერთ-ერთი საყვარელი ხრიკია. ისინი იმავე ტაქტიკას იყენებენ ინგუშებთან მიმართებით, ამავე ტაქტიკას იყენებდნენ 1990-იან წლებში და ა.შ. თუმცა რატომღაც, ამ „გენოციდის“ შემდეგ მათ მიერ კონტროლირებადი ტერიტორია იზრდებოდა, რაც ნონსენსია მსოფლიოს ისტორიაში. გენოციდი ნიშნავს რელიგიური, ეთნიკური, რასობრივი, პოლიტიკური და ა.შ. ნიშნით ადამიანთა დიდი ჯგუფის განადგურებას და ტერიტორიიდან გაძევებას და არა კონტროლირებადი ტერიტორიის ზრდას“.

ამასთან, კავკასიოლოგი არ ელის, რომ კრემლი, მიუხედავად პუტინის განცხადებისა, ამ მიმართულებით რაიმე სახის ნაბიჯს გადადგამს. მიზეზად კვახაძე რუსეთის ფედერაციის შიგნით არსებულ პრობლემებს ასახელებს უშუალოდ გენოციდთან დაკავშირებით:

„აქამდე ოსები ძირითადად 90-იან წლებში ცხინვალის რეგიონში მომხდარი კონფლიქტისა და 2008 წლის ომის გენოციდად წარმოჩენას ცდილობდნენ, განსაკუთრებით აპელირებდნენ ძარის გზაზე მომხდარ ტრაგედიაზე (90-იან წლებში). ოსების ვერსიით, ორმხრივი სროლისას ოსი მშვიდობიანი მოსახლეობა დაიღუპა და ამას გენოციდის ფაქტად ასახელებდნენ, მაგრამ 20-იან წლებზე აპელირება ახალია. რა თქმა უნდა, ოსები თავიანთი ისტორიული ნარატივის წინ წამოწევას ცდილობენ. თუმცა, არ ვფიქრობ, რომ რუსეთი ამ მიმართულებით ოფიციალურად გადადგამს რაიმე სახის ნაბიჯს: რუსეთს თავად აქვს გენოციდის პრობლემა იმავე ჩეჩნების, ინგუშების, ჩერქეზების. ამის რეალური მტკიცებულებებიც არსებობს და ეს თავად რუსეთის ფედერაციის სუბიექტებსაც კი აქვთ აღიარებული: ყაბარდო-ბალყარეთმა და ადიღეს რესპუბლიკამ 90-იან წლებში აღიარეს ჩერქეზთა გენოციდი. გარკვეული პრეტენზიები აქვთ ჩუქჩებს, თათრებს და რუსეთში მცხოვრებ სხვა ერებსაც. ამიტომ, გენოციდის აღიარების კუთხით მოსკოვის მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა შესაძლოა, თავად რუსეთის ფედერაციაშივე გამოიწვიოს დომინოს ეფექტი, რაც კრემლის ინტერესში არ შედის. თუმცა ვფიქრობ, ის საკუთარი სპეცსამსახურების გამოყენებით აუცილებლად შეეცდება ამ აზრის დამკვიდრებას კავკასიელ ხალხებში, რათა ქართველები წარმოაჩინოს მცირე ერების გამანადგურებლებად, თავად კი — დამცველად“.

კონფლიქტოლოგ **გიორგი კანაშვილის** შეფასებით, „ქართულ-ოსურ ურთიერთობებში იყო შავი ლაქები, რაც გენოციდად ვერ შეფასდება“. რაც შეეხება რუსეთს, კონფლიქტოლოგი მას საკუთარ „პანდორას ყუთს“ შეახსენებს.

„ოსები კარგა ხანია, ამ საკითხს აყენებენ. ე.წ. გენოციდის თემითაა გაჟღენთილი მთელი ადგილობრივი ისტორიოგრაფია. ამაზე წერენ როგორც ადგილობრივი ისტორიკოსები, ასევე ჩრდ. ოსეთის ისტორიკოსების ნაწილი. გასაგებია, რომ ცდილობენ, ამ ყველაფერს მისცენ პოლიტიკური დატვირთვა და საფუძვლად დაუდონ „დამოუკიდებელ სამხრეთ ოსეთს“. ეს მეთოდი, ზოგადად, არახალია, თვითვიქტიმიზაციასა და შემდეგ ამაზე პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებასაც ბევრი ცდილობდა ნაწილობრივი წარმატებით. მართლაც, ქართულ-ოსურ ურთიერთობებში არის „შავი ლაქები“, შორს რომ არ წავედით - 90-იან წლებში: იყო რიგი დისკრიმინაციული გამოთქმები და ქმედებებიც კი. თუმცა გენოციდი სრულიად სხვა რანგის დანაშაულია — აქ უნდა იყოს განცხადებებიც, მასობრივი ჟლეტაც ეთნიკურ ნიადაგზე და ა.შ., ასეთი რამ კი ქართულ-ოსურ ურთიერთობებში საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არასოდეს განხორციელებულა. მეტიც, 2008 წელს სწორედ ოსურმა მხარემ გაასწორა მიწასთან მრავალი ქართული დასახლება. ამიტომ, რაც არ უნდა ამტკიცოს ოსურმა მხარემ, რაიმე სახის სერიოზული მტკიცებულებების წარმოდგენა გაუჭირდება. როგორ იმოქმედებს რუსეთი? რთული სათქმელია, თუმცა საკუთარი ქმედებებიდან გამომდინარე — იგივე ჩეჩნეთში, ზოგადად, ჩრდილოთ კავკასიაში, ტრადიციულად, რუსეთი ერიდება გენოციდებისა და ეთნიკური წმენდების თემას. ეს საკითხი მათთვის პანდორას ყუთივითაა. არც პოლიტიკური კონიუნქტურაა შესაბამისი, თითქოსდა ქართულ-რუსული ურთიერთობები კვლავ ძველ კალაპოტს უბრუნდება, ამიტომ არა მგონია, ოსური მხარის თხოვნა ამ ეტაპზე რუსებმა სერიოზულად განიხილონ“,— განუცხადა **„აქცენტს“** კონფლიქტოლოგმა.

პროკურატურა: გამოტანილია დადგენილება მამუკა ხაზარაძის და ბადრი ჯაფარიძის ბრალდების შესახებ

სს „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და მოადგილის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე პროკურატურამ განცხადება გაავრცელა, რომელსაც „კომერსანტი“ უცვლელად გთავაზობთ:

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 2018 წლის 2 აგვისტოს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო სს „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და მოადგილის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე.

მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, გვსურს, საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების ანალიზის შედეგად მიღებულია შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

გამოტანილია დადგენილება მამუკა ხაზარაძის და ბადრი ჯაფარიძის ბრალდების შესახებ, მათ მიერ ჯგუფურად 16 754 000 ამერიკული დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით).

ასევე გვსურს, გაცნობოთ, რომ მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე 24 ივლისს დაბარებულნი არიან საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მათთვის ბრალდების შესახებ დადგენილების წარდგენის მიზნით.

საქართველოს გენერალური პროკურატურა მ.ხაზარაძისა და ბ.ჯაფარიძისთვის ბრალის წარდგენის შემდეგ სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე.

აღკვეთის ღონისძიების სახის შესახებ ინფორმაციას საზოგადოებას მივაწვდით დამატებით.

საქმის დაწყება ნამდვილად უსწრებდა დროში ხაზარაძის გეგმებზე განცხადებას

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე აცხადებს, რომ „თიბისი ბანკის“ საქმის დაწყება ნამდვილად უსწრებდა დროში მამუკა ხაზარაძის საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნების გეგმებზე განცხადებას.

„შესაძლოა, მან დააანონსა გარკვეული პოლიტიკური გეგმები ერთი კვირის წინათ, მაგრამ ეს საქმე ინიცირებულია გაცილებით ადრე, უკვე თვეების განმავლობაში ვადევნებთ თვალს დისკუსიას, საჯარო განხილვებს ამ თემაზე.

შესაბამისად, ეს დროში ნამდვილად წინ უსწრებდა პოლიტიკური გეგმების შესახებ გაკეთებულ განცხადებებს. როგორც გითხარით, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა კითხვას გაეცეს პასუხი. ამიტომ, მივესალმებით პროკურატურის მხრიდან საჯაროობას; მივესალმებით, რომ რეგულარულ რეჟიმში, ბრიფინგებით და სხვა საჯარო საშუალებებით მოხდეს საზოგადოების ინფორმირება საქმესთან დაკავშირებით.

რაც შეეხება პარლამენტს, როგორც გითხარით, პარლამენტი ყურადღებით აკვირდება ამ საქმეს და აუცილებლად, მის ამოწურვამდე, მონიტორინგის ქვეშ იქნება“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის საქმეს სამართლებრივი განვითარების გარდა, წერტილს ვერაფერი დაუსვამს

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი გია ვოლსკი აცხადებს, რომ მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს საკმაოდ დიდი თანხის გათეთრებას ედავებოდნენ, შემდეგ იყო სპეკულაციები და საკითხის პოლიტიზება მოხდა.

„დარწმუნებული ვარ, რომ ამბავს სამართლებრივი განვითარების გარდა, ვერაფერი დაამთავრებს და წერტილს ვერ დაუსვამს. არსებობს გამოძიება, პროკურატურის მასალები და არსებობს სასამართლო, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი სპეკულაცია ამ თემასთან დაკავშირებით უნდა დამთავრდეს, არავის არ უარუყვია, რომ ფულის ამ რაოდენობის გათეთრება მოხდა, რა ვითარება იყო, როგორ და რა ვითარებაში მოხდა, არის თუ არა ეს დანაშაული“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, შესაძლებელია თუ არა „თიბისი ბანკის“ დამფუძნებლების დაპატიმრება.

„პატიმრობის თემასთან დაკავშირებით ფრთხილად უნდა ვილაპარაკოთ ადამიანებმა, ვისთვისაც მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ჰუმანურობა უნდა იყოს. მაგრამ არსებობს საკითხები, რომლებსაც სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი განსაზღვრავს. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ თუკი ეს მუხლი დარღვეულია, მით უმეტეს, უხეშად, უნდა აგოს პასუხი. თუ არ არის დანაშაული, არც პასუხისგება იქნება. ჩვენ პოლიტიკურ ცხოვრებას ტურბულენტობა ახასიათებს და მუდმივად, ხან არჩევნების, ხან სხვა პოლიტიკური სტრესის პირობებში გვიხდება ცხოვრება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ უნდა გაგრძელდეს სამართლად წარმოება, ვის მიმართაც უნდა იყოს“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

ვერაბ ხაჩიძე: რაო, ბატონო „ექსპერტებო“, ცოტა სახელმწიფოებრივიც ხომ არ გამეპარა აზრებში?!

ახლა ამაზე უფრო ვრცლად წერის და საუბრის სურვილი არ მაქვს! ალბათ, ცოტა ხანში მაგასაც მოვახერხებ, მაგრამ სერიოზული ყურადღებით გადახედეთ ბოლო თვეების მოვლენებს, „პოლიტიკოსების“, „მწერლების“, „მსახიობების“, „მხატვრების“ ღირსებაზე მოლაპარაკე „კაცების“, ზოგადად, „ნაღები ინტელიგენციის“ ქცევას, მათ განცხადებებს რუსთაველზე და აქაურ ტელესივრცეში გამოფენილ, ეროვნულობის მანტიაში გახვეულ ჭუჭყიან საცვალს და იქნებ მიხვდეთ, ვის ინტერესებშია, ცივილიზებულ, პროგრესულად მოაზროვნე სამყაროს სამუდამოდ ჩამოაცილოს სახელმწიფოებრიობის ოცნებას დანატრებული ქვეყანა?!

ვისი სურვილია, შეურაცხად მასად, არშემდგარ, გაურკვეველ კონგლომერატად წარუდგინოს მსოფლიო საზოგადოებას ქართული გენი, ჯიში და ათასწლეულების მონაპოვარი?!

ვისი სურვილია, დასავლეთს როგორმე „შეაგნებინოს“, რომ...

ეს ის ქვეყანაა, სადაც თვეში ერთხელ „სერიოზული“ აქციები ტარდება კონკრეტული მოთხოვნებით და ეს „სერიოზული“ მოთხოვნები, რომ არავინ უწყის, რატომ, ყოველ სამ დღეში ერთხელ ახლით იცვლება! სადაც სერიოზულად ითხოვენ შს მინისტრის გადადგომას იმ აქციაზე, რომელსაც რატომღაც „ანტისაოკუპაციო“ ჰქვია!

სადაც სერიოზულად შეუძლიათ თქვან, რომ ბიძინა ივანიშვილის თანხმობის გარეშე აშშ ელჩს ვერ დანიშნავს საქართველოში!

სადაც სერიოზულად იხილავენ თემას: რამდენად იყიდა ქართულმა ხელისუფლებამ სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლო!

სადაც თავდაცვის ყოფილი მინისტრი, რომელსაც ჩინოვნიკობის იქით, ნაბიჯი არ გადაუდგამს, სერიოზულად და სახალხოდ საუბრობს გასესხებულ მილიონებზე და თავში არავის მოუვა, პასუხი მოსთხოვოს!

სადაც 70-დოლარიანი პენსიით ყველა კმაყოფილია და მშვიდობა იყოს და არაუშავსო, ყველა ღიმილით გიყურებს!

სადაც (!!!) ოკუპანტ ქვეყანას ჩვენი დედაქალაქის წყალმომარაგება ოფიციალურად აქვს გადაფორმებული და რასაც ისე მშვიდად ვუყურებთ, იოტისოდენადაც არავის გვაქვს გაცნობიერებული, რა ტრაგედია შეიძლება კონფლიქტის შემთხვევაში თავს დაგვატყდეს!

სადაც 30 წელია, „პოლიტიკოსის“ სიფათი არ გამოცვლილა და სადაც ამ პოლიტიკურ ჭაობში განცხრომით მყოფ, ГРУ-ს და КГБ-ს, ფსედოდასავლურობას ამოფარებულ ვირთხებს ხალხი თავისი ჯიბიდან უხდის მილიონებს! (?!)

აწი, თუ არ გეზარებათ, თქვენ გაგრძელეთ და როცა ჩემგან დაწყებული ჩამონათვალის ნუსხას თქვენსას მიუმატებთ, ერთად დავფიქრდეთ, ისურვებს ნორმალური, დასავლელი პარტნიორი ასეთ ქვეყანასთან პარტნიორულ ურთიერთობას?!

როცა ის „უსერიოზულესი“ განცხადებები „ხალხის ტელევიზიიდან“ (არც ეს სახელია შემთხვევით შერჩეული) ისმის და როცა „ექსპერტები“, „პოლიტიკოსები“ და „ინტელიგენციის“ ცნობადი სახეები სტრასბურგის სასამართლოს მოსყიდვაზე მსჯელობენ, ვინმე ჩაგვაგდებს ისეთად, ვისთანაც მართლა სერიოზული ლაპარაკი შეიძლება?!

არადა, მავანი ასეთი უმარტივესი, პროვოკაციული ხერხით, აქაური სამასიოდე ნაძირალა მარგინალის ხელით და ენით ესაუბრება ჩვენთვის პოლიტიკურად სასურველ პარტნიორებს: აი, ეს გახლავთ ქართული რეალობა და თუ გარისკავთ, გაიხადეთ „საიმედო“ და „სერიოზულ“ პარტნიორად და თანამოაზრედო!

P.S.

ის მთავარი მინდა გაგახსენოთ, 2008 წლის ომის შემდეგ რომ არწმუნებდა რუსული მედია აღმოსავლეთს და დასავლეთს: — როგორ გესახებათ იმ საქართველოსთან ურთიერთობა, რომელსაც შეუძლია 200-მილიონიან სახელმწიფოს ომი გამოუცხადოს და სერიოზული საფრთხეები შექმნას მსოფლიო პოლიტიკურ ურთიერთობებშიო!

ჰოდა, წადი ახლა და ამტკიცე, ომი მე არ დამიწყიაო!

აღარ მინდა, მოვრჩი!

რაო, ბატონო „ექსპერტებო“, ცოტა სახელმწიფოებრივიც ხომ არ გამეპარა აზრებში?!

მ.ხ.

განათლების კრახი ერის კრახია!

„ქართული აკადემიის“ მიმართვა

მამუკა ბახტაძეს:

„ჩვენი თხოვნაა - საფუძვლიანად გაიაზროთ განათლების სტრატეგია“

ბატონო პრემიერ-მინისტრო,

თქვენდამი ეს ღია მიმართვა 20 ივნისის წინ დაიწერა, როდესაც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ირინა აბულაძემ გაახმოვანა რამდენიმე „ფუძემდებლური“ მოსაზრება, რომლებსაც, როგორც ჩანს, უნდა დაეყრდნოს ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის მორიგი ტალღა. ბუნებრივია, ქვეყანაში განვითარებულ ვნებათაღელვათა „კასკადის“ გამო მიმართვის გამოქვეყნება გადავდეთ. თუმცა ვთვლით, რომ ახალგაზრდა თაობის განათლების საქმე და საამისო სისტემა ქვეყნის მომავლისა და მისი რაობისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის, ფუნდამენტური პრობლემაა — განათლების კრახი ერის კრახია. თქვენგანაც მოველით შესაბამის შეფასებასა და რეაგირებას.

მინისტრის მოადგილის მიერ გახმოვანებული თეზები უგულებელყოფს ახალგაზრდის განათლების მიღებისა და პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესების მრავალპლასტიან ბუნებას, ამ ხილული თუ სიღრმისეული პლასტების პირდაპირ და ირიბ ურთიერთკავშირებს. მეტიც, ისინი განათლების ცნებას არსს აცლიან და იგი დაჰყავთ მის სუროგატულ შემცვლელზე — მომავალი თაობის ტრენინგზე ბავშვობის ასაკიდან. ამაზე მეტყველებს ქალბატონი ირინა აბულაძის საჯაროდ გამოთქმული მოსაზრებები. თვალსაჩინოებისთვის საკმარისია, გავიაზროთ მისი ორი შეხედულება:

„რეფორმის მიზანია, რომ მოსწავლეებმა მომავალში არ აიღონ ისეთი ფინანსური ვალდებულება, რომელსაც ვერ შეასრულებენ“.

21-ე საუკუნეში უკვე აღარაა მნიშვნელოვანი, იცოდე მათემატიკის კონკრეტული ფორმულები, ან კიდევ — ფიზიკის. უნდა აღიზარდოს მოქალაქე, რომელსაც საზოგადოებაში საკუთარი როლი აქვს გაცნობიერებული“.

გაუგებარია, როგორ შეიძლება განათლების რეფორმის მიზანი იყოს რაიმე კონკრეტული ჩვევის გამომუშავება? **განათლება ახალგაზრდას შთაგონებას უნდა უძლიერებდეს, ჰორიზონტს უნდა უფართოებდეს და კრიტიკული აზროვნების უნარს უყალიბებდეს, კონკრეტული ცნებების (მათ შორის, მათემატიკის კონკრეტული ფორმულებისა და ფიზიკის კონკრეტული კანონების) ანალიზით მის ტვინს მრავალწახნაგოვნად „ლესავდეს“ და ავარჯიშებდეს. სწორედ ასეთ ფუნდამენტურ ინსტრუმენტებზე დაფუძნებული სოციალური და ყოფითი (მათ შორის, ფინანსური) აქტივობა იქნება ღირებული; სწორედ ასეთი, აზროვნების კულტურის მქონე, ადამიანების ერთობას შეუძლია შექმნას ქმედითი, თავისუფალი (ანუ არა სხვისი უფლებისთვის განწირული) სახელმწიფო 21-ე საუკუნეში.**

ზედმეტი არ იქნებოდა, რომ მინისტრის მოადგილეს კონკრეტული ევროპული მაგალითები მაინც შეესწავლა და გაეთვალისწინებინა. დასავლეთში ახალგაზრდების ბიზნესში ინტეგრირების საკმაოდ გავრცელებული, აპრობირებული გზაა პირველ ეტაპზე ღრმა მათემატიკური და ფიზიკური განათლების მიღება (ანუ მინისტრის მოადგილის ლექსიკით — „მათემატიკური ფორმულებისა და ფიზიკის კანონების“ საფუძვლიანი შესწავლა), ამ მიმართულებით სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის შესრულება და მხოლოდ ამის შემდეგ გადასვლა ფინანსურ და საწარმოო საქმიანობაზე. ბუნებრივია, ასეთი განათლების მქონე ახალგაზრდა/მოქალაქე არის ქმედუნარიანი, „გაცნობიერებული აქვს საკუთარი როლი საზოგადოებაში“, ნამდვილად შესწევს უნარი, „შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები“ და მეტიც, იყოს საზოგადოების ფინანსური, საწარმოო და პოლიტიკური ცხოვრების გამწევი ძალა. ცხადია, დასკვნა ტრივიალური და ბანალურია, მაგრამ მინისტრის მოადგილის ლოგიკა სხვა გამოსავალს არ გვიტოვებს და იძულებულნი ვართ, გავახმოვანოთ იგი: ახალგაზრდის „საზოგადოებაში საკუთარი როლის გაცნობიერებისა“ და „ფინანსური ვალდებულებების შესრულების“ უნარები გამომუშავდება არა უშუალოდ ამ საკითხებში ტრენინგით (რაზეც, ფაქტობრივად, დადის მინისტრის მოადგილის განცხადებები), არამედ, საფუძვლიანი განათლებით.

თუკი „ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის მორიგი ტალღა“ მინისტრის მოადგილის მიერ გაკეთებულ განცხადებებზეა დაფუძნებული, მაშინ ეს ეჭვქვეშ აყენებს როგორც ცალკეული ადამიანების, ასევე ქვეყნის მომავალს, მის ბედს. ამდენად, თუკი მსგავსი „აზროვნების“ ხელმძღვანელთა ქმედებები დროულად არ შეჩერდება, ეს „რეფორმა“ საბედისწერო აღმოჩნდება, ვინაიდან წინასწარვე ცხადია, ასეთ „ტალღაზე“ (ანუ პრიმიტიული ტრენინგული სულისკვეთებით) „აღზრდილ“ ადამიანთა ერთობა გლობალიზაციის რთულ ეპოქაში ვერავითარ სახელმწიფოებრიობას ვერ შეინარჩუნებს; ჩვენი ქვეყნის თავისუფლება ფორმალურადაც მიილევა და ჩვენი „სახელმწიფოებრიობა“ დავა სხვათა ნების უპირობო აღსრულებაზე. ეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქვეყნის აბსურდული, მაგრამ სევდიანი აღსასრული იქნება.

ეს მოვლენათა დრამატიზება არ არის — ვაი მას, ვინც ვერ ხვდება ფუნდამენტური განათლების გადამწყვეტ მნიშვნელობას ჩვენი მომავლისთვის, საქართველოს სუვერენულ ქვეყნად დარჩენისთვის. მიუხედავად ქართველი საზოგადოების ღონეგამოცლილობისა, გვწამს, რომ მისი თვითგადარჩენის ინსტინქტი მოვლენათა ამგვარ მსვლელობას არ შეეგუება და შეაჩერებს მას, როგორც ეს არაერთხელ ყოფილა ჩვენი ისტორიის გარდამტეხ ფაზებში. ბუნებრივად გვესახება, რომ საქართველოსადმი კეთილგანწყობილ ადამიანთა ერთობა, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი, მოვლენათა ასეთ მომაკვდინებელ მსვლელობას უნდა აცნობიერებდეს და ამას არ უნდა უშვებდეს. ამ მხრივ, ყველაზე მეტი მოგეთხოვებათ თქვენ, საქართველოს დღევანდელ ხელისუფალთ, მით უმეტეს, რომ დეკლარირებული გაქვთ უახლოეს მომავალში განათლების სისტემის დაფინანსების აქამდე არნახული ზრდა.

ნუთუ თავისთავად ცხადი არ არის, რომ განათლების მორიგი „რეფორმისთვის“ დაფინანსების ზრდას, მით უმეტეს, სახელმწიფო ბიუჯეტის ერთი მეოთხედის გამოყოფას წინ უნდა უძღოდეს სტრატეგიის ჩამოყალიბება?! რა, არ უნდა ვიცოდეთ, კონკრეტულად რა ამოცანების გადაწყვეტას უნდა მოხმარდეს სხვა სფეროებისთვის ჩამოკლებული და განათლებისთვის მობილიზებული სახსრები? რაში დაიხარჯება ეს ფული — მინისტრის მოადგილის მიერ გახმოვანებული ზრახვების რეალიზაციაში, ანუ ქვეყნის დაქცევაში? საუბედუროდ, შექმნილ ვითარებას ესადაგება ვაიმარელი ბრძენის ნააზრევი: „ქმედით უმეცრებაზე უფრო დიდი საშინელება არაფერია“. მით უმეტეს, როდესაც ეს საშინელება საქვეყნო მასშტაბისაა და მის მომავალს წამლავს.

მოგმართავთ მოწოდებით: მოუსმინეთ პროფესიონალებს, მეცნიერებს, ფართო კულტურული ჰორიზონტისა და აზროვნების მქონე ადამიანებს! საფუძვლიანად გაიაზრეთ განათლების სტრატეგია — ნუ გახდით მას „ნაცმოძრაობის“ დაბალი რანგის მოხელეებისა და, ასევე, მათ წიაღში აღზევებული უსახური პიროვნებების განსასჯელად და განსაკარგავად!

„ქართული აკადემიის“ სახელით:

გოგი ანთელავა, გიგა ბათიაშვილი, თემურ გოცაძე, ავილინა დავითულიანი, გელა დოლიძე, ივანე კიღურაძე, ჯემალ მეგონია, ზაზა მრელაშვილი, თემურ ნანეიშვილი, გოგი ძავთარაძე, დავით ძარძაშაძე, გიორგი ჩაგელიშვილი, ნინელი ჭანკვეტაძე, ალექსანდრე ხარაზიშვილი, კოტე ჯანდიერი, თამაზ ჯოლოგუა.

FOR.GE

ერთიანი ეროვნული გამოცდები დასრულდა

2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები მშვიდ ვითარებაში, მაქსიმალურად კომფორტულ გარემოში ჩატარდა. წარმატებას ვუსურვებ თითოეულ აპლიკანტს. მადლობა ცენტრის თანამშრომლებს და ყველა იმ უწყებასა და ადამიანს, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ უმნიშვნელოვანესი პროცესის წარმატებით განხორციელებაში, — განაცხადა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა, რომელმაც სპეციალურ ბრიფინგზე ეროვნული გამოცდების დასრულება შეაჯამა.

მინისტრმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ დაგვიანებებთან დაკავშირებით, წლევანდელ გამოცდებზე პოზიტიური ტენდენცია გამოიკვეთა, რადგან გასულ წელთან შედარებით, დაგვიანებებმა იკლო, რაც გამოცდების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო კამპანიის შედეგია.

ამასთან, როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა სოფო გორგოძემ განაცხადა, 2019 წლის გამოცდების შედეგების გამოქვეყნება, სავარაუდოდ, აგვისტოს პირველი რიცხვებიდან ზოგადი უნარების გამოცდის შედეგით დაიწყება.

* * *

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიხეილ ბატიაშვილის გადაწყვეტილებით, აბიტურიენტებმა, რომლებმაც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ენგურის ხიდზე მდებარე ე.წ. სასაზღვრო გამშვები პუნქტის ჩაკეტვის გამო ვერ შეძლეს 2019 წლის ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებში მონაწილეობა, მათთვის სასურველ სახელმწიფო უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებებში სასურველ საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებზე გამოცდების გარეშე ჩაირიცხებიან.

გარდა ამისა, სახელმწიფო სტუდენტის სწავლის დაფინანსებას სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტის მაქსიმალური ოდენობით სრულად განახორციელებს.

განათლების მინისტრის განცხადებით, ეს შეეხება ყველა იმ აბიტურიენტს, ვინც გამოცდაზე დარეგისტრირდა და გამოხატა სურვილი, სწავლა გეგრძელებინა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მაგრამ სრულად ან ნაწილობრივ შეეზღუდა ეს უფლება, მიუხედავად მათი ამა თუ იმ გამოცდაზე მიღებული შედეგისა.

სავალდებულოა, რომ ამ წესით ჩარიცხულმა სტუდენტებმა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებისთვის, 2019-2020 სასწავლო წლის მანძილზე დააგროვონ სწავლების 240 კრედიტიდან მინიმუმ 60 კრედიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ბათილად ჩაითვლება.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ასევე, მიმდინარეობს მუშაობა 2020-2021 სასწავლო წლისთვის სახელმწიფო უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებების საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირების ჩარიცხვისა და დაფინანსების განსხვავებულ მექანიზმებზე იმისათვის, რომ ამ აბიტურიენტებსა და სტუდენტებს უმაღლესი განათლების მიღება შეფერხების გარეშე შეეძლოთ.

„მსოფლიოში ვერ ნახავთ ვერც ერთ ტელევიზიას, რომელიც პირდაპირ ეთერში არ გაითიშებოდა გაბუნიას გამოსვლის გამო“

ვის როგორ ესმის „რუსთავი-2“-ის მნიშვნელობა?! რომან გოცირიძისთვის „რუსთავი-2“ იყო ის ვარსკვლავი, რომელიც ჩვენს თავზე ანათებდა“, ზაზა პაპუაშვილისთვის კი „რუსთავი-2“ იყო დამნაშავე ტელევიზია, პოლიტიკური მანქანა, რომელიც მხოლოდ შხამს ისროდა...

For.ge დაინტერესდა, როგორია ანალიტიკოს დავით ზარდიაშვილის თვალით დანახული ეს ტელევიზია?! სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის შემდეგ დაემუქრება თუ არა ჩვენს ქვეყანას სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა?!

— დღეს ბევრისგან ვიგებთ, რომ მიშასდროინდელი „რუსთავი-2“ მართლაც იყო სიცრუის მანქანა, მაგრამ მიშას შემდეგ ეს ტელევიზია ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელ ოპოზიციურ ნიშას იკავებდა. თქვენი აზრით, როგორი იყო „რუსთავი-2“ სააკაშვილის პერიოდში და როგორია ახლა?!

— სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ ამ ტელევიზიის დამოკიდებულება ყოველგვარ ზღვარს სცდება, ეთიკისა და გამოხატვის თავისუფლების საზღვარს მიღმაა მათი ქმედება, „რუსთავი-2“-ის დამოკიდებულებაში აშკარად ჩანს მათი მიზანი, შანტაჟი და დისკრედიტაცია ქართული სასამართლოსი. მას შემდეგ, რაც „ნაცმოძრაობა“ ოპოზიციაშია, „რუსთავი-2“-ის დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ არის არა კრიტიკული, არამედ კრიტიკისა და გამოხატვის თავისუფლების მიღმა. ეს მტრული დამოკიდებულებაა. პირდაპირ ჩანს, რომ „რუსთავი-2“ უპირისპირდება სახელმწიფოს და ამისთვის ნებისმიერ საბაბს იყენებს.

— მათი არგუმენტით, ისინი რეალობას ასახავენ, მაშინ, როცა სხვა ტელეარხები სიმართლეს მალავენ.

— აქ დამალვაზე არ არის საუბარი. რაც უნდათ, ის გაუშვან, მაგრამ ცალმხრივი არ უნდა იყოს და არ უნდა გადადიოდეს კრიტიკის მიღმა. ინფორმაციაცაა და ინფორმაციაც. როდესაც ტელევიზია ინფორმაციას გადასცემს და ცალკეულ ფაქტს აშუქებს, ეს მისი ფუნქცია და მოვალეობაა, მაგრამ გამოხატვის თავისუფლება არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი და მტრული. ამის ნაცვლად კი, ეს ტელევიზია პირდაპირ მოწოდებულია, დააზიანოს სახელმწიფო. აქ არ არის ლაპარაკი კონკრეტულ ხელისუფლებაზე, „ქართული ოცნების“ მიმართ დამოკიდებულებაზე, არამედ ზოგადად სახელმწიფოს მიმართ, პარლამენტის მიმართ, სასამართლოს მიმართ იგრძნობა მტრული დამოკიდებულება. სხვათა შორის, მმართველი პარტიის მხრიდან პოლიტიკურად უკვე შეფასდა მტრულ ძალად „ნაცმოძრაობა“ და მისი ორივე ფრთა. ზუსტად მტრული ძალის ხელში იყო ის იარაღი, რომელსაც „რუსთავი-2“ იყენებდა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ხელისუფლების სამივე შტოზე თავდასხმისთვის და ეს განსაკუთრებით ყოველგვარ საზღვარს გადასცდა 20 ივნისის ამბოხების მერე. ამიტომ ხელისუფლების წარმომადგენლებს მოვუწოდებ, ყველაფერი სამართლებრივ სიბრტყეში გადაიტანონ და, როცა ამბობენ, რომ ეს არის მტრული ძალა, ამას შემდგომი ნაბიჯები უნდა მოჰყვეს.

— გვარამიას დევნას გულისხმობთ?

— საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს იურიდიულ პირთა მიმართ სისხლის სამართლის დევნას, თუ მათ დანაშაული აქვთ ჩადენილი. კვალიფიციური გამოძიებით ძალიან იოლად დადასტურდება, რომ „რუსთავი-2“ პირდაპირ მონაწილეობდა ამ ამბოხებაში. არ მინდა, ახლა პარალელებზე საუბარი, მაგრამ ასევე მოხდა 2003 წელსაც.

— 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ პროგრესულ მოვლენად მიიჩნეოდა, რომელმაც შევარდნაძის დამყაყებული პერიოდი შეცვალა სააკაშვილის მმართველობით და „რუსთავი-2“-იც მაშინ „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიად“ ითვლებოდა.

— აქ საუბარია ლიბერასტულ რევოლუციაზე, თორემ ლიბერალი ილია ჭავჭავაძეც იყო. კლასიკური ლიბერალიზმი სულ სხვა რამეა. ლიბერალი, კლასიკური გაგებით, იყო ილია ჭავჭავაძე, ჩვენი იდენტობის ერთ-ერთი მთავარი ბურჯი. ილია იყო აბსოლუტურად დაუნდობელი ოპორტუნიზმის მიმართ და ამბობდა, მერყეობა ლიბერალიზმისთვის დამახასიათებელია, მაგრამ ილია ჭეშმარიტ ლიბერალობას სწორედ უკომპრომისობაში ხედავდა, რადგან ჭეშმარიტება ბოლომდე უნდა დაიცვას ლიბერალმა. ჯერ კიდევ 2000 წელსაა გაცხადებული „ნაციონალების“ მიზანი, კერძოდ, ზურაბ ჭიაბერაშვილის სტატიიდან ირკვევა, რომ მათ არ უნდათ ამ ტერიტორიაზე ერი, სახელმწიფო, თავისი ინსტიტუციებით, კონსტიტუციით, ადამიანის უფლებებით, სამართლის უზენაესობით, მათ უნდათ თავიანთი კორპორაცია, მოგებაზე ორიენტირებულ ოლიგარქთა კორპორაცია. ეს პირდაპირაა გაცხადებული. ეს მოდის სკეფსისიდან, ეჭვიდან იმის გამო, რომ საქართველოში თურმე სახელმწიფო ვერ აშენდება, რადგან ქართველი ხალხი ჩამორჩენილი და ბნელია, რადგან ჩვენმა ერმა თავის დროზე გამოტოვა ერის, სახელმწიფოს ისტორიული შანსი და ახლა, თუ გვინდა, გლობალისტური სამყაროს პროგრესს ფეხი ავუწყოთ, პოლიტიკურ და ეკონომოკურ მოგებაზე აგებული კორპორაცია უნდა შევქმნათ, ანუ „ნაციონალები“ მიიჩნევენ, რომ ამ ტერიტორიაზე არსებობის უფლება მარტო თვითონ აქვთ, თავიანთი კორპორაციით, დანარჩენი ადამიანები კი ვართ ზედმეტები და ბნელები. დღესაც ოპოზიციაში ყოფნისას ისინი ამავე დამოკიდებულებას ინარჩუნებენ.

— „რუსთავი-2“ ამ ბრძოლაში მარტო არ არის, მას მხარს უჭერენ ინტელექტუალებიც. ამას რით ახსნით?

— დათო უსუფაშვილი და სხვები... ისინი ლიბერასტები არიან, მაგრამ ოპორტუნისტები, როგორც იოანე საბანისძე იტყოდა, „ირხევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. ეს ხალხი კომპრომისების მოყვარულია.

— სხვათა შორის, უსუფაშვილმა თქვა, რომ სულ რაღაც 15-ჯერაა ნამყოფი „რუსთავი-2“ და პირად ინტერესს გამორიცხავს ამ ტელევიზიის მიმართ.

— აქეთ-იქით ქანაობა „რესპუბლიკელებისთვის“ დამახასიათებელი თვისებაა. ყველაზე სასაცილო კი ის არის, რომ დათო უსუფაშვილის და ამ ლიბერალებისა ზუსტად ეგ მოსწონთ, რომ ისინი ვითომც ინტელექტუალები არიან. სინამდვილეში, ამ ადამიანებს რატომღაც მუდმივი მერყეობა ჰგონიათ პოლიტიკური მოქნილობის საშუალება.

ნიკა გვარამია „ახალი იარაღის შექმნაზე“ საუბრობს... პარალელურად, ზაზა ოქუაშვილმა გვარამიასა და მის გუნდს „იბერიაზე“ მუშაობა შესთავაზა. რა იქნება ახალი იარაღი მათ ხელში, ახალი არხის შექმნა?

— ალბათ, ახალი არხის შექმნას აპირებენ, შეიძლება, აქ საუბარი იყოს ფეისბუქის გამოყენებაზე, სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზეც, საიდანაც სახელმწიფოზე თავდასხმები გაგრძელდება. შესაძლებელია, მათ „იბერიაც“ დაუთმონ, ან ერთ-ერთი ალტერნატივა იყოს ტელეკომპანია „მესამე“. ბევრი ვარიანტი განიხილება. მთავარი ის არის, რომ 20 ივნისი წყალგამყოფია, მათ ყველა საზღვარი გადალახეს, გადმოვიდნენ შტურმზე. გარდა ამისა, აქ მთავარი ფაქტია, რომ „რუსთავი-2“ არის ნაყაჩაღარი. აქიმიძემდე, დვალამდე და ეროსიმდე ეს კომპანია იყო სხვისი — თედო ისაკაძე, ფიქრია ჩიხრაძე და იყვნენ კიდევ სხვა ადამიანები. მაშინ რა მოხდა, როგორ აახიეს მათ „რუსთავი-2“ და ეროსიმ რა გაკეთა, ეგ კიდევ სხვა თემაა.

კიდევ ერთ ფაქტს გაგახსენებთ, პირველი პოლიტიკური კრიზისი, რამაც მერე „ვარდების რევოლუციამდე“ მიგვიყვანა, ეს იყო „რუსთავი-2“-ის გარშემო დაწყებული პროცესები. პროკურატურა შევიდა „რუსთავი-2“-ში დოკუმენტაციის სანახავად, რადგან ამ კომპანიას სახელმწიფოს უზარმაზარი ვალი ჰქონდა და არ იხდიდა ამ ვალს, ფული თეთრდებოდა და მთელი ამბები იყო. ამას მოჰყვა მაშინდელი გენერალური პროკურორისა და შს მინისტრის გადადგომა, ბალანსი რომ ყოფილიყო, ჟვანიაც გადადგა. მერე საბოლოოდ „რუსთავი-2“-მა დაიწყო კონფრონტაცია საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ და დაანგრიეს ისედაც სუსტი სახელმწიფოს ყველანაირი ეროვნული ინსტიტუტი, მაშინაც ამის საწყისი „რუსთავი-2“ იყო.

— ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში არ არსებობდეს თავისუფალი მედია.

— სიტყვის თავისუფლება ყველაზე მეტად შელახული იყო სააკაშვილის პერიოდში. არც შევარდნაძის დროს, მით უმეტეს, არც ახლა სიტყვის თავისუფლებას არაფერი ემუქრება. ჯერ ერთი, იმდენს ბედავს „რუსთავი-2“, როგორ შეიძლება აქ ლაპარაკი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე? მსოფლიოში ვერ ნახავთ ვერც ერთ ტელევიზიას, რომელიც პირდაპირ ეთერში არ გაითიშებოდა გაბუნიას გამოსვლის გამო. იმწუთასვე გამორთავდა მას მარეგულირებელი. ჩვენთან ვითომ ეთიკის კომისია არსებობს, მაგრამ რეაგირება არ ხდება. ასევე, არსებობს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია, რომელსაც ევალება სტანდარტების დაცვა. ეს სტანდარტი უსაფრთხოების სტანდარტია, რადგან არ შეიძლება ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ყველა თვალსაზრისით საშიშროებას წარმოადგენს.

მანანა ნოზაძე

პირადად ვარ შესწრებული, როდესაც ირაკლი ოქრუაშვილმა პარიზში ამ ხელმოწერის ნიმუში მოიტანა და იქ მყოფ ადამიანებს ავარჯიშებდა

ირაკლი ოქრუაშვილის ყოფილი თანაგუნდელის მიხეილ ქარელის განცხადებით, ოქრუაშვილმა ქიბარ ხალვაშის ხელმოწერა გააყალბა. როგორც ქარელმა ტელეკომპანია „იმედთან“ ინტერვიუში აღნიშნა, დოკუმენტზე, რომლის მიხედვითაც ირაკლი ოქრუაშვილი „რუსთავი 2“-ის ფორმალური მმართველი უნდა ყოფილიყო, ხალვაშის გაყალბებული ხელმოწერაა დარტყმული.

„მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს არის გაყალბებული ხელმოწერები. პირადად ვარ შესწრებული, როდესაც მან პარიზში ამ ხელმოწერის ნიმუში მოიტანა და იქ მყოფ ადამიანებს სთხოვა, გაეყალბებინათ მსგავს ხელმოწერაზე. გარკვეული ხნის განმავლობაში ის ავარჯიშებდა ამ ადამიანებს. მზად ვარ, როგორც გამოძიების, ისე სასამართლოს წინაშე დავასახელო ამ ადამიანების სახელები და გვარები. ერთ-ერთი ცნობილი ამ საქმეში არის იოსებ გიგუაშვილი — ირაკლი ოქრუაშვილის ბიძაშვილი. ეს მათი ხელწერაა. ასეთი საქმე მათ ჰქონდათ გორშიც, როდესაც ცდილობდნენ გაყალბებული ხელშეკრულების შექმნით სხვისი ქონების მითვისებას. საქმე ეხება ერთ-ერთ ოფისს გორში. ეს საქმე იყო პროკურატურაში და საბოლოო ჯამში დადგინდა, რომ ეს იყო გაყალბებული ხელშეკრულება.

ახალი, რვამეტრიანი მწვანე ავტობუსები

თბილისის მერი კახა კალაძე მოადგილე ირაკლი ბენდელიანთან ერთად სამუშაო ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკას ეწვია.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს დედაქალაქის მერმა შეხვედრა გამართა „ისუზუს“ მწარმოებელ, თურქულ კომპანია „ანადოლუ გრუპის“ (Anadolu Group) ხელმძღვანელებთან, ეწვია „ისუზუს“ ქარხანას და თბილისისთვის განკუთვნილი ავტობუსები დაათვალიერა.

თბილისის მერიის ინფორმაციით, თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა და ტენდერში გამარჯვებულ კომპანია „ჯი-თი გრუპს“ შორის 220 ახალი, თანამედროვე „ეურო 6“-ის სტანდარტის, რვამეტრიანი ავტობუსის შესყიდვის ხელშეკრულება მიმდინარე წლის 24 აპრილს გაფორმდა.

„ისუზუს“ მარკის 8-მეტრიანი ავტობუსები გათვლილი იქნება 53 მგზავრზე და სრულად ადაპტირებული იქნება შშმ პირთათვის. ავტობუსებში უზრუნველყოფილი იქნება ინტეგრირებული გათბობის, კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემა, საინფორმაციო ხმოვანი სისტემა, ანტივანდალური ვიდეომონიტორინგის სისტემა, ასევე USB-დამტენები და „ვაიფაი“.

განცხადება

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე: https://geomedi.edu.ge//

ვებ-გვერდი: www.geosis.edu.ge www.geomedi.edu.ge

ელ.ფოსტა: info@geosis.edu.ge

ტელ.: 275-25-20

◎ სარედაქციო ფოსტიდან

მეც თქვენი მოქალაქე ვარ...

ღია წერილი თბილისის მერს, ბატონ კახა კალაძეს

ბატონო კახა,

სტალინს გაგრაში შევხვდი. 10 წლისა ვიყავი, ხელი ჩამომართვა და მომეფერა;

ბერიას — კანდიდ ჩარკვიანის სახლში, 11 წლის ვიყავი;

ფრანკოს შევხვდი მადრიდში, ფეხბურთში ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩზე — საბჭოთა კავშირის და ესპანეთის ნაკრებები თამაშობდნენ. საბჭოთა ნაკრებში იყო ხურცილავა;

ბრეჟნევს თბილისში შევხვდით მე და გურამ ლოლაძე. ორივე გადაგვკოცნა (ოღონდ ჩვეულებრივად, კაცურად)...

ზვიად გამსახურდია ჩემი კარის მეზობელი იყო...

ფრანსუა მიტერანსაც შევხვდი, როდესაც მემარცხენეთა ლიდერი იყო, მერე გახდა საფრანგეთის პრეზიდენტი...

მჟავანაძემ მიმიღო პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ხშირად ვხვდებოდი...

პატიაშვილთან ნათესაური კავშირი მაკავშირებდა და ხშირად ვხვდებოდი. ბოლოს, მისი თანაშემწე ვიყავი...

„შევარდნაძემ ორი ორდენი პირადად გადმომცა, მეგობრობისა და „ღირსების“ ორდენები...

ზურაბ ჟვანიამ და ე.წ. ჰალსტუხიჭამია პრეზიდენტმა რაღაც „მთხოვეს“ და მათაც შევხვდი... (ამაზე პირადად მოგახსენებთ).

რაც შეეხება ახლანდელ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს, ამაზეც პირადად მოგახსენებთ...

ნარმანიასაც კი რამდენჯერმე შევხვდი.

ჰოდა, აი, თქვენთან შეხვედრა უკვე რა ხანია, ოცნებად გადამექცა...

ეს იუმორია, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. არ ვიცი, რა ხდება, თანაშემწემ, ალბათ, მოგახსენათ, თუ რამდენჯერ მქონდა თქვენთან შეხვედრის მცდელობა...

მესმის, რომ თქვენთვის ყოველ წუთს ოქროს ფასი აქვს და ვხედავ, ამ ოქროს წუთებს, რა კარგად და ეფექტურად იყენებთ. ალბათ, ქალაქს ცოტა ჰყოლია თქვენნაირი მერი. ამას მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ. ისიც ვიცი, რომ ჩემთან შეხვედრა და ლაპარაკი თქვენი დროის ფასად უნდა მოხდეს, რომელიც აქამდე ვერ გამონახეთ, მაგრამ მე ძველი კაცი ვარ, ძველი ყაიდის, ძველებურად ვაზროვნებ. ამას ვეღარ შევცვლი და, მიუხედავად ამისა, მეც თქვენი მოქალაქე ვარ... ამიტომ გთხოვთ, გამონახოთ 15 წუთი ჩემთან სასაუბროდ...

რაც შეეხება ფეხბურთს, მე და ჯანსუღმა ორი გამარჯვება ვიზეიმეთ — ტაშკენტში და დიუსელდორფში. თქვენი და, საერთოდ, ქართული ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ვარ...

ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ არც ერთი შეკრება არ გამომიტოვებია, რაც კი თბილისში გამართულა „ნაციონალური რეჟიმის“ წინააღმდეგ... ნიკოლაძის ძეგლთან, ვერაზე, სადაც სიტყვითაც გამოვედი დათო მაღრაძის შეკრებაზე, რუსთაველის თეატრში, თავისუფლების მოედანზე და, რა ვიცი, ამხელა კაცი, დაუზარლად დავდივარ და დღესაც თქვენ გვერდით ვდგავარ უანგაროდ, მიუხედავად იმისა, თქვენ შემხვდებით თუ არა...

1993 წელს თბილისელების გამოკითხვის შემდეგ დაიბეჭდა წიგნი, რომელსაც „100 თბილისელი“ ჰქვია. ამ წიგნში ჩემი უფროსი ძმა ჯანსუღი და, გასაკვირად, მეც ვარ შეყვანილი. გამომცემელი და რედაქტორია გივი ფაცურია, ჟურნალისტთა ასოციაციის (კავკასიის) პრეზიდენტი.

დაბოლოს, არ შეიძლება არ ვიყო აღფრთოვანებული ბატონი ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედებით, ყველაფერს თავი დავანებოთ, 2012 წელს მან საქართველო შავი ჭირის გავრცელებისგან გადაარჩინა. ხშირად მეკითხებიან, რა ურთიერთობა ჰქონდა ჯანსუღს ნაციონალებთანო. აქვე მოვიყვან მის მიერ დაწერილ ერთ სტროფს (არა მგონია, რომელიმე პოეტს ასეთი რამ ერთ სტროფში ჩაეტიოს):

მითქვამს ერთხელ, მითქვამს ასჯერ,
კვლავაც გავიმეორებ,
მე თქვენს გამჩენს არ ვაგინებ,
რომ არ გაჩნდეს თქვენისთანა მეორე.

ჯიმი ჩარკვიანი.
ტ. 599-71-68-14

ვაჭრობის გამოცოცხლება ვერ ხერხდება, განვადებები გაუინფლია

საბანკო **რეგულაციების უარყოფითი შედეგების გამოსწორება სავაჭრო მიმართულებით ვერაფრით ხერხდება. ავეჯისა და ტექნიკის გაყიდვის სფეროში დასაქმებულები ამბობენ, რომ ვითარება კვლავაც უმძიმესია.**

ზაფხულის პერიოდში განსაკუთრებით რთული სიტუაციაა საავეჯო ბიზნესში. პოლონური სამზარეულოს ავეჯის იმპორტიორი კომპანიის შპს „გალანტის“ მოიჯარე **ლია ჯანეზაშვილის** თქმით, ბოლო 6 თვის განმავლობაში კომპანიის განვადებების გაყიდვების კლება დაახლოებით 50%-ზე მეტია.

„ძალიან ცუდი მდგომარეობა გვაქვს, საშინელი. ფაქტობრივად გაჩერებულები ვართ. მას შემდეგ, რაც განვადებები აღარ გვაქვს, ფაქტობრივად გავჩერდით და ვეღარ ვმუშაობთ. ხალხი აღარ დადის, რადგან იციან, განვადება აღარ არის. ჩვენ 80% განვადებაზე ვმუშაობდით, დანარჩენი ხელზე გაყიდვა იყო. ის დარჩენილი 20% რასაც ხელზე ვყიდდით, ისიც აღარ დარჩა.

ნამდვილად მინდა, საბანკო სისტემაში ვითარება შეიცვალოს იმიტომ, რომ ხალხს იმის საშუალება არ აქვს, მოვიდეს და პირდაპირ თანხა გადაგიხადოს. თუ განვადების სისტემა ძველ სახეს დაიბრუნებს, ეს ბიზნესის განვითარებისთვის კარგი იქნება.

ქირას დოლარის ეკვივალენტში ვიხდით და, შესაბამისად, ლარის კურსის მერყეობა ჩვენზე გავლენას ახდენს. ფასებს არ ვზრდით და ვეღარც გავზრდით იმიტომ, რომ მინიმუმზე ვმუშაობთ“, — განაცხადა ლია ჯანეზაშვილმა.

ფრანგული ავეჯის იმპორტიორი კომპანიის მოიჯარე განმარტავს, რომ იჯარის თანხა 1200-1500 დოლარამდე გაუძვირდა, თუმცა მიუხედავად ამისა, მისი პროდუქციის ფასმა დაიკლო. მოიჯარე ჩვენთან შიდა განვადებების სისტემაზეც საუბრობს და აღნიშნავს, რომ მან ამ სისტემით 12 ათასი ლარის ზარალი ნახა.

„ხალხი არ შემოდის და ვერაფერს ვყიდით, ვერც განვადებით და ვერც — ხელზე. გაყიდვები ძალიან შეგვიმცირდა, რადგან მომხმარებლებს სესხს არ უმტკიცებენ. კვირა ისე გავა, რომ ვერაფერს ვყიდით და თვეში ერთ დივანს თუ გავყიდით. განვადებების ძველი სისტემა რომ დაბრუნდეს, კარგი იქნება. მაშინ ზოგ მომხარებელს ხელფასი დაფიქსირებული არ ჰქონდა, თუმცა განვადებებს იხდიდნენ. ჩვენ შიდა განვადება გავაკეთეთ და პიროვნებამ 12 ათასი ლარის დავალიანება დაგვიტოვა და თანხა არ გადაგვიხადა. ანუ, ბანკის ჩართულობის გარეშე ჩვენ დავზარალდით. ლარის კურსი ჩვენზე ძალიან მოქმედებს. ჩათვალეთ, რომ რაც აქ დევს, დაკარგული გვაქვს უკვე“, — აცხადებს „ბიემთან“ მოიჯარე.

საქართველოში წარმოებული ავეჯის კომპანიის მოიჯარე **ლილი ბერაძეს** განვადებებით გაყიდვები 99%-ით შეუმცირდა, ხოლო ხელზე გაყიდვები — 40%-ით. იგი იჯარაში თვის განმავლობაში დოლარის ეკვივალენტში საშუალოდ 1350 ლარს იხდის და ლარის გაუფასურება მის კომპანიაზე გავლენას პირდაპირ ახდენს.

მოიჯარე ეროვნულ ბანკს განვადებების სისტემის ძველი ფორმით დაბრუნების თხოვნით მიმართავს.

სავაჭრო ცენტრ დასაქმებული მოვაჭრეების თქმით, სესხების გაცემაზე რეგულაციების შემოღების შემდეგ, გაყიდვების რიცხვი 70-80%-ით შეუმცირდათ, რადგან პროდუქტს ძირითადად განვადებებით ყიდდნენ, ახლა კი ბანკები განვადებას საშუალოდ 10 მყიდველიდან მხოლოდ ერთს უმტკიცებენ.

სავაჭრო ობიექტების წარმომადგენლები ამბობენ, რომ თვეში თუ იყიდებოდა 10 ნივთი, ახლა ერთი შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ.

„რამე თუ არ შეიცვალა, დაღუპულები ვართ. უამრავი ადამიანი მუშაობს აქ და ყველას კატასტროფული მდგომარეობა აქვს. ვფიქრობ, სად გავიქცე, დიდი ხარჯი გვაქვს. როგორც კი რეგულაციები ძალაში შევიდა, მომენტალურად შემცირდა გაყიდვები, ასეთი ცოტა გაყიდვა არ გვახსოვს. ყველა ასეთ დღეშია აქ“, — ამბობს „კიდობანში“ დასაქმებული მოვაჭრე.

ბექა დანელია

ღვაწლმოსილი

❧ გურამ გოგიაშვილი – 85 ☙

85 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე გურამ სოლომონის ძე გოგიაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ძვირფასო ბატონო გურამ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენ, მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ღვაწლმოსილ, მხცოვან შემოქმედს, რომლის მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი მოღვაწეობა პატივისცემისა და მოწიწების გრძნობით განაწყობს ყველას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ქართული მწერლობის, კულტურისა და ხელოვნების წინსვლა და განვითარება. თითქმის შვიდი ათეული წელია, რაც ამშვენებთ თანამედროვე ქართულ მწერლობას, როგორც უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედი, სამშობლოს ბედსა თუ უბედობაზე ღრმად დაფიქრებული ერისკაცი, რომლის სული ვერა და ვერ გატეხა თავს დამტყდარმა უბედურებებმა.

სამწერლო ნათლობა შორეულ 1954 წელს მიიღეთ, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ ალმანახ „პირველ სხივში“ დაიბეჭდა თქვენი პირველი ორიგინალური ლექსები და სვანური ბალადები. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები — მხატვრული თარგმანები, ლექსები, მოთხრობები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები და პუბლიცისტური სტატიები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად, იდგმება თეატრების სცენაზე.

მართლაც რომ ბრწყინვალე მთარგმნელი ბრძანდებით, ქართული მთარგმნელობითი სკოლის აღიარებული მეტრი და ლიდერი, რომელმაც არაერთი დიდებული თარგმანით გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურა.



ანტონ ჩეხოვის „ხევში“, კონსტანტინე პაუსტოვსკის „კოლხიდა“, „ნახტომი სამხრეთისაკენ“, „ოქროს ვარდი“, ტომანოვების „სოკრატე“, მილორად პავიჩის „ხაზარული სიტყვის კონა“, „სხვა სხეული“ და „შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა“, პაულო კოელიოს „მეხუთე მთა“, „ალქიმიკოსი“, „მოგვის დღიური“, „ბრიდა“, „მაქთუბი“, „წიგნი ნათლის მხედრისა“, ერაზმ როტერდამელის „შესხმა სისულელისა“, ანტუან დე სენტ-ეკზიუპერის „პატარა უფლისწული“, ჩინელი ნობელიანტის მო იენის „დიდი ძუძუმკერდი, განიერი გავა“, ნიკოლა გილენის, ალექსანდრ ბლოკის, იან რაინისის, ბორის გურგულიას, გაფურ გულიამის ლექსები, ჯანი როდარის „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“, ეჟი ლეცის „დაუვარცხნელი აზრები“ — აი, იმ მწერალთა და ნაწარმოებთა არასრული სია, რომელთა თარგმანებს თქვენი მადლიანი ხელი ატყვია. და მაინც, თქვენი მთარგმნელობითი რუდუნების უპირველეს შედეგად დიდი ფრანგის — ფრანსუა რაბლეს უკვდავი ქმნილება „გარგანტუა და პანტაგრუელი“ მიგვაჩნია. რა დიდხანს, რა შეუპოვრად თარგმნიდით მსოფლიო ლიტერატურის ამ შედევრს, რომელმაც ქართველი მკითხველის ცნობიერებაში სამუდამოდ დაიდო ბინა და ამდენად ქართული მწერლობის საგანძურის განუყოფელ ნაწილად იქცა.

შოთა რუსთაველის თეატრში წარმატებით იდგმებოდა ოსტროვსკის, შუქშინის, რაბინსკის, რუსტამბეკოვის თქვენ მიერ თარგმნილი პიესები.

თქვენი თარგმანების წარმატებას ქართულის ბრწყინვალედ ფლობა განაპირობებს. ამ ფენომენის ყველა ნიუანსს უბადლოდ ფლობთ და ამ მხრივ ივანე მაჩაბლის ღირსეულ მემკვიდრედ გვევლინებით.

მკითხველი თავის დროზე ინტერესით შეხვდა თქვენს მოთხრობებსა და ლექსებს. მნიშვნელოვანი წერილები მიუძღვენით მიხეილ ჯავახიშვილის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის, ანა ანტონოვსკაიას შემოქმედებას, ხოლო პუბლიცისტური წერილები მუდამ საქვეყნო პრობლემების ტკივილიანი განცდითაა დამუხტული.

ათწლეულებია, რაც ქართული ჟურნალისტიკის ფლაგმანის — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სახეს წარმოადგენთ და ამ საყოველთაო ქაოსისა და ნიველირების ხანაში ყველას ჭეშმარიტი პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერების უებრო მაგალითს აძლევთ.

თქვენი ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. დაჯილდოებული ხართ ვახტანგ გორგასლის სახელობის მეორე ხარისხისა და ღირსების ორდენებით, მონიჭებული გაქვთ ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ნიკოლაძის სახელობის და „საგურამოს“ პრემიები.

ყველასთვის ცნობილია თქვენი პრინციპულობა და შეუვალობა. რა შეუპოვრად ებრძოდით საქართველოში დამდგარ ათწლიან დიდ ღამეს; როგორ ვერ შეძლეს საქართველოს მოძულეებმა თქვენი მოსყიდვა და გადაბირება.

ჩვენო გურამ!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ღვაწლმოსილ შემოქმედს, დღეგრძელობასა და მზეგრძელობას გისურვებთ, გისურვებთ აგრეთვე, თქვენი საესავი სამშობლოს გაბრწყინებას მოსწრებოდეთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

„სიამის ტყუპები“

პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში ტაილანდური ტელესერიალის გადაღებები დაიწყო. „Double man“ — ასე ჰქვია ქართულ-ტაილანდურ კოპროდუქციას, რომელზეც ტაილანდური კომპანია Kantana Motion Pictures ქართულ Georgian Film Production-თან თანამშრომლობით იმუშავებს.

სერიალის სიუჟეტის რამდენიმე ნაწილის გადაღებები თბილისში, მესტიასა და ქუთაისშია დაგეგმილი. ამ ეტაპზე გადამღები ჯგუფი მესტიაში მუშაობს. რაც შეეხება სერიალის შინაარსს, თაკო ჟღენტის ინფორმაციით, სერიალი დაფუძნებულია რეალურ ამბავზე, კერძოდ სიამის ტყუპებზე. პირველი სიამის ტყუპი ტაილანდში, სოფელ სიამში გაჩნდა და ამის შემდეგ ჰქვია სიამის ტყუპები, — აღნიშნა მან. მისი განმარტებით, საქართველოს ტერიტორიაზე გადაღებულ სცენებში 1870-იანი წლების ნიუ—იორკში ხდება მოქმედება.

ტელესერიალის გადაღებები 30 ივლისამდე გაგრძელდება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში 380-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება.

შეგახსენებთ, რომ 2019 წლის ივნისის თვის მონაცემებით, პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში შემოსულია 26 განაცხადი, საიდანაც გადაღებები უკვე დასრულდა 15 ფილმზე, დამატებით 11 ფილმზე კი გადაღებები ამჟამად მიმდინარეობს. აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად საქართველოში ჯამურად 67 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება, გადაღებებისას კი სულ შეიქმნება 8 000-ზე მეტი სამუშაო ადგილი.

მარტვილში ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „ლეგენდების ქვეყანა“ გაიხსნა. ფესტივალში საქართველოს, ტაილანდის, სლოვაკეთის, ბულგარეთის, უკრაინის და ბელორუსიის ფოლკლორული ანსამბლები და ჯგუფები მონაწილეობენ. გახსნის ცერემონიაზე ანსამბლებმა საკუთარი ქვეყნის ფოლკლორი ნომრები წარმოადგინეს.

გახსნის ცერემონიალს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის აპარატის უფროსი ლევან წულაია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოადგილე ლაშა გვასალია და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ფესტივალის ფარგლებში კონცერტები მარტვილის გარდა ფოთში, აბაშასა და ხონში გაიმართება. ფესტივალის საზეიმო დახურვა 25 ივლისს, 20 საათზე მარტვილში შედგება.

ქოლდაკისეული „მეფე ლირი“ თბილისში

ცნობილი უკრაინელი რეჟისორი ანდრიი ჟოლდაკი თბილისში უილიამ შექსპირის ტრაგედიის „მეფე ლირის“ მიხედვით დგამს სპექტაკლს სახელწოდებით — „დედოფალი ლირი“. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საერთაშორისო პროგრამების და პოპულარიზაციის სამმართველოს უფროსი ირინა საგანელიძე, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „საჩუქრის“ სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან დოლიძე და სპექტაკლის სცენარის ავტორი და რეჟისორი ანდრიი ჟოლდაკი უძღვებოდნენ.

ცნობილი უკრაინელი რეჟისორი, ევროპის ავანგარდული თეატრის ერთ-ერთი წარმომადგენელი ანდრიი ჟოლდაკი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ახორციელებს საერთაშორისო პროექტს „შექსპირი. შეხვედრები“. „დედოფალი ლირი“ სწორედ აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაიდგმება.

„სპექტაკლის მოქმედება ოჯახში ვითარდება. თემა თაობებს შორის ურთიერთობას ეხება: მშობლები და შვილები. რეჟისორი გვიჩვენებს, თუ როგორ ანგრევს ადამიანური ეგოიზმი, მატერიალიზმი და სიძულვილი ოჯახურ ჰარმონიას, სიყვარულს, ურთიერთპატივისცემას და როგორ მიჰყავს ადამიანური ურთიერთობები სრულ კრახამდე. ყველა მიზანსცენა მისტიფიკაციაა. სპექტაკლში მოქმედებები რეალური ცხოვრებიდან გადადის თეატრში და ბრუნდება ისევ რეალობაში“.

სპექტაკლი დაიდგმება როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სცენაზე. მასში მონაწილეობას მიიღებენ: ქეთევან დოლიძე, თეიმურაზ გვალია, პაატა ბარათაშვილი, ირინა გიუნაშვილი, ანრი ბიბინეიშვილი, ბუბა ჭოღოშვილი, თამარ ბზიავა, თამარ ბუაჩიძე, ილია ჭეიშვილი, სოსო ხვედელიძე და ლაშა გაბუნია.

პროექტი ხორციელდება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოში უკრაინის საელჩოს მხარდაჭერით. პროექტს ახორციელებს ა(ა)იპ — მიხეილ თუმანიშვილის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“, თბილისის გრიბოედოვის თეატრის სცენაზე Check in Georgia-ს ფარგლებში. პროექტის ოფიციალური მზღვეველია „არდი“; პარტნიორი — „საქართველოს კულტურის პალატა“.

◎ ოლიმპიური ფესტივალი

„ოქროც“ იქნება

ბაქოს ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე მოჭიდავეთა ასპარეზობები დასრულდა. საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით ნაკრებების წევრებმა, ისევე როგორც წინა დღეებში, მედლები დასკვნით საღამოსაც მოიპოვეს.

თავისუფალი სტილის ფალავანთაგან **დავით ფაცინაშვილმა** (65 კგ) იყოჩაღა, ბერძენ-რომაელთაგან კი — **ნუკრი ბენიძემ** (51 კგ). მათი მონაგარი ბრინჯაოს მედლებია.

შედეგად, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ბაქოს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ორ-ორი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით დაასრულა. ასეთივე შედეგი აღმოაჩნდათ ქართველ „კლასიკოსებს“.

კობა კობახიძე

◎ ხელბურთი

მეტოქეები ცნობილია

ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები ევრო 2022-ის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდში შეხვდება ფინეთის გუნდს, ხოლო მსოფლიოს 2021 წლის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე ეთამაშება იტალიას, რუმინეთსა და კოსოვოს.

ორივე წილისყრა ევროპის ხელბურთის ფედერაციის ოფისში ვენაში გაიმართა. კონტინენტის ჩემპიონატის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდში, პლეიოფში, სამი წყვილი შედგა: საქართველო — ფინეთი, ლუქსემბურგი — ესტონეთი და კვიპროსი — ბელგია. პირველი მატჩები პირველად დასახელებული გუნდების მოედანზე გაიმართება, წყვილების 3 გამარჯვებული კი გავა ევრო 2022-ის მთავარ შესარჩევ რაუნდში, სადაც 32 უძლიერესი ქვეყანა ითამაშებს ფინალური ტურნირის 20 საგზურისთვის. „ძველი სამყაროს“ ჩემპიონატი უნგრეთსა და სლოვაკეთშია დანიშნული 2022 წლის იანვარში.

მსოფლიოს ჩემპიონატს რაც შეეხება, მას 2021 წლის იანვარში ეგვიპტე უმასპინძლებს და იქ პირველად ითამაშებს 32 გუნდი. ევროპას, მსოფლიო ჩემპიონის, დანიის გარდა, აქვს 13 ადგილი, რომლებიც 2 რაუნდისგან შემდგარ კვალიფიკაციაში გათამაშდება.

პირველ ეტაპზე მონაწილეობს 15 ქვეყანა, რომელიც არ თამაშობს ევრო 2020-ის ფინალურ ტურნირს, 4 შესარჩევი ჯგუფის 4 გამარჯვებული კი გავა მეორე რაუნდში, პლეი-ოფში, სადაც დაუწყვილდება ევრო 2020-ის მონაწილე ნაკრებებს და შინ და სტუმრად ფორმატით გაათამაშებს ფინალური ტურნირის საგზურებს. პლეი-ოფი გაიმართება 2 ეტაპად, 2020 წლის აპრილსა და ივნისში.

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დაიწყება 2019 წლის ოქტომბერში და ამ თვეში გაიმართება 2 ტური: 23-24 და 26-27 ოქტომბერს. შეჯიბრება დასრულდება 2020 წლის პირველ თვეში. სათამაშო დღეებია: 1-2, 4-5, 8-9 და 11-12 იანვარი. როგორც წესი, გუნდები 2 წრედ თამაშობენ, მაგრამ ფედერაციების შეთანხმების შემთხვევაში შესაძლებელია სამდღიანი და ერთწრიანი ტურნირის მოწყობაც — ამ შემთხვევაში მასპინძელი წილისყრით გამოვლინდება.

ამაზეა დამოკიდებული 2022 წლის ევროპის ჩემპიონატის პლეი-ოფის განრიგიც. სათამაშო დღეები იგივეა, მაგრამ, თუ რომელიმე გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის კვალიფიკაციაში ორწრიან ტურნირს ითამაშებს, მაშინ ევროპის ჩემპიონატის პლეი-ოფისთვის EHF გამოყოფს 2 დამატებით სათამაშო დღეს 2020 წლის 19-26 იანვრის შუალედში.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ წყალბურთი

მიზანი – მეოთხედფინალი!

საქართველოს 15-წლამდელ წყალბურთელთა ნაკრებმა ბულგარეთის ქალაქ ბურგასში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ჰოლანდიას 14:11 (1:3, 5:3, 3:2, 5:3) სძლია და ჯგუფური ეტაპი მე-2 ადგილზე დაასრულა, რაც უდავო მიღწევად უნდა მივიჩნიოთ.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა წყალბურთელებმა C ჯგუფში მხოლოდ გამორჩეულ ფავორიტად მიჩნეულ იტალიასთან წააგეს (8:12), რუსეთს დაუზავდნენ (9:9), „ნარინჯისფერებთან“ შეხვედრაში კი მეტად საჭირო გამარჯვება იზეიმეს.

საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ საწყისი მეოთხედი დათმო, დანარჩენებში კი იმარჯვა და საბოლოოდ დამაჯერებელ წარმატებას მიაღწია.

გუნდს ბესარიონ ახვლედიანმა ულიდერა, რომელმაც 6 გოლი შეაგდო, გუგა გელაშვილმა და საბა ტყეშელაშვილმა დუბლი შეასრულეს, ხოლო თითოჯერ თავი გიორგი კოზაშვილმა, გიორგი კირიაკიდიმ, ლუკა გელოვანმა და იაკობ ცოტაძემ გამოიჩინეს.

ამგვარად, ქართველმა წყალბურთელებმა 4 ქულა მოაგროვეს და ჯგუფში მხოლოდ სამივე მატჩის მომგებ იტალიას (9 ქულა) ჩამორჩნენ. ჩვენებურთა დარად, 4 ქულა მიითვალეს რუსებმაც, თუმცა, ისინი ქართველებს ბურთების უარესი სხვაობის გამო ჩამორჩნენ (ჰოლანდიას 12:10 სძლიეს, იტალიასთან კი 6:11 წააგეს.). საქართველოს ნაკრები მეოთხედფინალის საგზურისთვის ბრძოლას განაგრძობს და ძალებს A ჯგუფში მე-3 ადგილზე გასულ სლოვაკეთთან მოსინჯავს, რომელმაც მხოლოდ რუმინეთს აჯობა (6:5), ხორვატეთთან (7:15) და უნგრეთთან (6:20) კი უიმედოდ დამარცხდა. თუკი ჩვენმა ჭაბუკებმა იმარჯვეს, მეოთხედფინალში B ჯგუფის გამარჯვებულ საბერძნეთთან თამაშის უფლებას მიიღებენ.

მეოთხედფინალში თამაშის უფლება პირდაპირ მოიპოვეს 4 ჯგუფის გამარჯვებულებმა: ხორვატეთმა, საბერძნეთმა, იტალიამ და სერბეთმა.

მეოთხედფინალის დარჩენილი 4 საგზურისთვის საქართველოსა და სლოვაკეთის გარდა, მონტენეგროთურქეთი, ესპანეთი-სლოვენია და უნგრეთი-რუსეთი იბრძოლებენ.

ვთქვათ ისიც, რომ მეცამეტე-მეთექვსმეტე ადგილებს რუმინეთი-ჰოლანდია და ბულგარეთი-ბელარუსი გაითამაშებენ.

ბეჟან დოლიძე

◎ ჩემპიონთა ლიგა

გამოცდილებაც, კლასიც...

გამოუცდელობამ თავი იჩინა — ერთი შეხედვით „საბურთალოს“ ზაგრების „დინამოსთვის“ ტოლი არაფერში დაუდია და მეტიც, რიგ ეპიზოდებში უკეთესი შთაბეჭდილებაც დატოვა. თუმცა, მატჩის გარდამტეხ ფაზაში მოუკლო და მეტოქემ პირიქით, მოუმატა.

0:2 ის შედეგია, რომლითაც ერთი კვირის თავზე „საბურთალო“ უმაყურებლო „მაქსიმირზე“ ჩავა და ცხადია, მეტად წამგებიან ვითარებაშია. რაც უნდა ოპტიმისტები ვიყოთ, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ და „დინამოსთან“ მისსავე მოედანზე ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა მეტად რთული იქნება.

თუმცა, „საბურთალოს“ მალტური „გზირა იუნაიტედის“ სახით კარგი მაგალითი წინ უდევს, რომელმაც სპლიტის „ჰაიდუკთან“ შინ სწორედ 0:2 წაგების შემდეგ სტუმრად 3:1 მოიგო და თავად გავიდა შემდეგ ეტაპზე. მაგრამ, ერთია „ჰაიდუკი“ და მეორე ზაგრების „დინამო“. თუმცა, დაველოდოთ, წინ 90 წუთია.

რაც შეეხება „მიხეილ მესხზე“ გამართულ შეხვედრას, „საბურთალო“ ტერიტორიულ უპირატესობას კარგა ხანი ფლობდა, მაგრამ საგოლე მომენტების შექმნაში მოიკოჭლებდა. საპასუხოდ არც ხორვატებს შეუქმნიათ პირველ ტაიმში ღირებული, მარიო გავრანოვიჩის გარღვევას და ელვინ ტერას დიდებულ ვარდნას თუ არ ჩავთვლით, რომელმაც დაცვაში გმირულად ითამაშა.

მეორე ტაიმიც „საბურთალოს“ შეტევებით დაიწყო და ოგნიენ როლოვიჩს ლივაკოვიჩმა გოლი გამოაცალა ხელიდან. ეს იყო და ეს, შემდეგ, მეთოდურად ნენად ბიელიცას გუნდმა უპირატესობა ხელთ იგდო და საქმეში გამოცდილებაც ჩაერთო.

67-ე წუთზე მისლავ ორშიჩმა ნიკოლოზ მალის პოზიციაც მოუგო და ფიზიკური ორთაბრძოლაც, რის შემდგომაც ახლო მანძილიდან თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. გავიდა 10 წუთი და შეხვედრის ჩეხმა არბიტრმა პეტერ არდელეანუმ საკამათო პენალტი დანიშნა მასპინძელთა კარში, რომელიც ბრუნო პეტკოვიჩმა გოლად აქცია. შეხვედრაც აქ დასრულდა და „საბურთალომაც“ ვეღარ მოახერხა, თუნდაც პრესტიჟის გოლის გატანა.

ახლა წინ ზაგრებული მატჩია, მაგრამ „საბურთალოსთვის“ ამ რაუნდში მარცხი კატასტროფა ნამდვილად არ იქნება, რადგან ევროპა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გადაინაცვლებს, სადაც სავარაუდოდ ერევნის „არარატს“ შეხვდება, რომელმაც, სხვათა შორის, გიბრალტარის „ლინკოლნი“ საკუთარ კედლებში 2:0 დაამარცხა.

და მაინც, ზაგრებში ბრძოლას აზრი ნამდვილად აქვს და ისევ და ისევ „გზირა იუნაიტედს“ მოვიშველიებთ მაგალითად. დანარჩენს ერთ კვირაში გავიგებთ...

გიორგი ზოთაძე

◎ ელიტაში

„ფორბსის“ ვერსიით

ჟურნალმა „ფორბსმა“ მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული სპორტული კლუბების ახალი სია გამოაქვეყნა, რომელშიც ინგლისურმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ საფეხბურთო გუნდებს შორის ლიდერობა დაკარგა.

მისი ღირებულება 4.12 მილიარდი დოლარიდან 3.81 მილიარდამდე დაეცა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაზე ძვირადღირებული საფეხბურთო კლუბების სიას ის სათავეში აღარ უდგას.

აღსანიშნავია, რომ ათეულში მხოლოდ ეს ინგლისური გრანდი, ასევე „რეალ მადრიდი“ და „ბარსელონა“ არიან, საუკეთესო 50-ს შორის კი, მათ გარდა, ასევე ვხვდებით მიუნხენის „ბაიერნს“, „მანჩესტერ სიტის“, „ჩელსის“, „არსენალსა“ და „ლივერპულს“.

ფორბსის პირველი ათეული ასე გამოიყურება:

1. „დალას ქოვბოიზი“ (ამერიკული ფეხბურთი) — 5 მლრდ დოლარი; 2. „ნიუ-იორკ იანკიზი“ (ბეისბოლი) — 4.6 მლრდ დოლარი; 3. „რეალ მადრიდი“ (ფეხბურთი) — 4.24 მლრდ დოლარი; 4. „ბარსელონა“ (ფეხბურთი) — 4.02 მლრდ დოლარი; 5. „ნიუ-იორკ ნიკსი“ (კალათბურთი) — 4 მლრდ დოლარი; 6. „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ფეხბურთი) — 3.81 მლრდ დოლარი; 7. „ნიუ ინგლენდ პეტრიოტსი“ (ამერიკული ფეხბურთი) — 3.8 მლრდ დოლარი; 8. „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ (კალათბურთი) — 3.7 მლრდ დოლარი;9. „გოლდენ სტეიტ უორიორზი“ (კალათბურთი) — 3.5 მლრდ დოლარი; 10. „ლოს-ანჯელეს დოჯერზი“ (ბეისბოლი), „ნიუ-იორკ ჯაიენტსი“ (ამერიკული ფეხბურთი) — 3.3 მლრდ დოლარი.

მანუჩარ გიორგაძე

ენგურს გამოღმა დარჩა...

ეს მერამდენედ, კვლავ უნდა გადგომოდა გზას და გაევლო საკმაოზე დიდი მანძილი – მეტად საფრთხილო და საშიში; სოხუმიდან თბილისში უნდა ჩასულიყო, სადაც ელოდებოდნენ შვილები და შვილიშვილები. სანამ ამ სავალს მოილევდა, არაერთი სხვადასხვა სახის ტრანსპორტი უნდა გამოეცვალა ამ ხანდაზმულ კაცს, რომელიც ინტელიგენტური ელფერით იქცევდა გამვლელთა ყურადღებას.

მძიმე იყო ეს გზა, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეჩერდებოდა, როცა სურვილი და გულისთქმა შინაგან განგაშად გადაექცეოდა; ის ხშირად არც ისე კარგად გრძნობდა თავს, მაგრამ, როგორც თვითონ იტყოდა, ძალისხმევას არ ზოგავდა, რომ სოხუმში ჩაეღწია და დიდი ხნის ნაჯაფ-ნაამაგარი ეზო-კარისთვის შეევლო თვალი, გაეხედ-გამოეხედა, სათუთად მოფერებოდა ვაზს, თითოეულ ხეს.

დიახ, ის ენგურს გაღმა-გამოღმა მონაცვლეობით მიისწრაფოდა. მამა-პაპათა საფლავებზე ფიქრით ჩაუვლიდა მოძღვრის შვილი ილორს, ოჩამჩირეს. სოხუმში ჩასვლისთანავე, სახლში შესვლამდე აღმართს აუყვებოდა, ძვირფასი მეუღლის საფლავისკენ გაემართებოდა; მხოლოდ ადგილზე მისვლისას გადაიგდებდა ზურგჩანთას. ქალიშვილის გამოტანებული საგზლიდან ნაწილს ამოიღებდა და, აქვე ცრემლმორეული გატეხდა პურს. ღვინით სავსე ჭიქას გადასწევდა, საფლავს დანამავდა. მოკრძალებით მოიხსენიებდა იმ ქვეყნად წასულ ახლო ნათესავებს, მეგობრებს, ყველას, ვისაც უკვე წილად ხვდა მიწისქვეშა მარადიული სამყოფელი. სჯეროდა, რომ მეუღლის გვერდით ელოდა განსასვენებელი, მაგრამ ეს ასე არ მოხდა...

სახლში დაბრუნებული მეორე სართულზე ავიდოდა, ოჯახის დედის მომღიმარ სურათს სევდიანი თვალებით შეხედავდა, თითქოს, მეორედ აბარებდა ანგარიშს – შვილები და შვილიშვილები კარგად არიანო.

სოხუმში მისი ყოველი ჩამოსვლა ერთგვარი რიტუალი იყო.

* * *

დერეფანში გამოსვლას ვერ ასწრებდა. კართან ატუზული ცოცი და ფუნთუშა კატა შემოახტებოდნენ პატრონს, რომლებიც დროებით მეზობელთან იყვნენ შეხიზნულები და არასოდეს გამოეპარებოდათ მისი სახლთან მოახლოებაც კი.

ხშირად ცოცი კუდის ქიცინით და წკავწკავით, ხოლო ფუნთუშა კატა კი გადამეტებული ალერსით შემოეხვეოდა ფეხებზე და ნაბიჯის გადადგმის საშუალებას არ აძლევდა. შოთა მაშინათვე ორივეს ხელში აიყვანდა, მოეფერებოდა და ქვედა სართულზე მათთვის გამოყოფილ ოთახში ჩაიყვანდა, ჩვეული მზრუნველობით დედაქალაქიდან ჩამოტანილ გემრიელ საკვებს სპეციალურ ჭურჭელზე დაუყრიდა. ასევე, ცივ წყალსაც დაუსხამდა გობზე; მაშინ გენახათ, მთელი დღეები რა „ბაირამობა“ ჰქონდათ პატარა არსებებს.

პატრონი, როცა თბილისში წამოსვლას დააპირებდა, საკვების საკმაო მარაგს ტოვებდა. შედეგად კუდაქიცინა და ონავარი მშიერ-მწყურვალნი არ რჩებოდნენ.

ბატონი შოთა წასვლის წინ და ჩამოსვლისას, ყოველთვის გვირეკავდა და ხუმრობამორეული იტყოდა: „როგორ ვარ?“ „რა მიჭრს, იქაც „ჩვენები მხვდებიან და აქაცო“.

* * *

ბატონი შოთა, როგორც მისგან გავიგეთ, ტურბაზასა და თეთრ ხიდთან მძიმე შეიარაღებული შეტაკებების შემდეგ, რასაც არაერთი მშვიდობიანი მოსახლე შეეწირა, მეგობრის ოჯახის მოსაკითხად მიიჩქაროდა. თან სდევდა მწარე ფიქრი: „ხომ არ ამომიწყვიტეს ახლობლებიო“.

სანამ დანიშნულ ადგილამდე მიაღწევდა, მდინარე ჩალბაშის პირას, წაქცეული ხის ქვეშ ტალახსა და სისხლში ამოსვრილი, ალალბედად გადარჩენილი, ჩაცუცქული ლეკვი შენიშნა. სიმძიმე მოაწვა გულზე; ფრთხილად აიყვანა და გზა გააგრძელა. მალე მეგობრის სახლის ლაფაროსთან გაჩნდა. კედლები სულ დაცხრილული იყო სხვადასხვა იარაღიდან ნასროლი ტყვიებით, ხოლო გვერდით – ორი საცხოვრებელი ნაგებობა – სანახევროდ დანგრეული.

ეზოში ხალხმრავლობა იყო. შიში მოეძალა. შოთამ იჩქარა, წამში აიარა კიბის საფეხურები. მეგობრის ბინაში შეკრებილ ადამიანებს შეერია. ერთგვარი სიმშვიდე იგრძნო, როცა გაიგო, რომ აქ თავი მოეყარათ შორიახლო მცხოვრებთ, რომელთაც თბილისის გზატკეცილის ამ მონაკვეთზე მიმდინარე მძაფრმა ბრძოლებმა გზა გადაუჭრა. მთელი ღამე ყველამ ერთად ფეხზე გაატარეს.

ომის ქარცეცხლი ამ მიდამოებში სამი დღე-ღამე შეუწყვეტლად მიმდინარეობდა. ამოქმედებული იყო ყველა სახის იარაღი, რაც მტერს ხელთ ჰქონდა. ამიტომაც, საუბედუროდ, იყო მსხვერპლი. დაინგრა შენობები, შეწყდა სატრანსპორტო მიმოსვლა. მძარცველები ხელს ითბობდნენ. მხოლოდ მეოთხე დღეს გადაინაცვლა ბრძოლებმა გუმისთის მიმართულებით.

მეგობრის მეუღლემ ნანახითა და განცდილით გაოგნებულმა, პატარა შავ-თეთრად შეფერილი ლეკვი, კარგახნის შემდეგ უბრად გამოართვა, მოეფერა, ჭრილობები მოუწმინდა და რამდენიმე წუთში პირსახოცშემოხვეული დაუბრუნა.

შოთას არ უცდია ვინმეს ყურადღება მიექცია. მოკეთის ოჯახის გადარჩენით დამშვიდებულმა, ისღა მოახერხა გადახვეოდა, გადაეკოცნა მეგობარი, რომელიც დარეტიანებული სახით იდგა. მას ხელები ორივე შვილზე მაგრად ჩაეჭიდა და არაფერზე არ რეაგირებდა.

* * *

დუმდნენ თავშეყრილები. ისინი, ომის მოულოდნელი დაწყებით თავზარდაცემულები, გონს ვერ მოდიოდნენ. ვერ ხვდებოდნენ, რომ ტურბაზაში იარაღების გამაყრუებელი, საშინელი გრუხუნი შეწყდა და შეეძლოთ თავისი გზით წასულიყვნენ. ჩანდა, რომ ყველას ეშინოდა სახლში დაბრუნების, რადგან დიდი იყო მოლოდინი ომგადახდილ სივრცეში, საკუთარ ოჯახებში დატრიალებული უბედურების მოწმენი გამხდარიყვნენ.

* * *

შოთა კიბეებზე ჩქარი ნაბიჯით დაეშვა და სახლისკენ გზა მოკლედ მოჭრა...

ჭიშკარი შეაღო თუ არა, მეუღლეს გასძახა: „მადლი ღმერთს, ყველანი გადარჩენილან. ნახე, რა მოგიყვანეო“.

* * *

ქალბატონი პირსახოცში შეხვეულმა სიურპრიზმა ძალიან გააოცა და გაახარა; მასზე ზრუნვას იმ წუთიდან შეუდგა. გასაკვირი ის იყო, რომ ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღეში ცოლ-ქმარმა დილაადრიან კიბის თავზე შავი ფერის თვალხილული კატის კნუტი შეამჩნიეს, ახლოს მივიდნენ. შოთამ ის ფრთხილად აიყვანა ხელში და მოეფერა.

ჩანდა, სხვადასხვა იარაღების გამაყრუებელი სროლის ხმით შეშინებული და დამფრთხალი საიდანღაც მოცოცდა.

ახლა უკვე სახლში ძაღლიც იყო და კატაც, როგორც ასეთ დროს ხალხში იტყვიან, ოჯახს სითბო და სუნთქვა შეემატა, უფრო სრულყოფილი გახდა კერა. ორივე არსება მალე წამოიზარდა: ცოცი დეკორატიულ პატარა ფინიად, ხოლო პაწაწინა ცინდალი ბზინავი და შავი ხშირბეწვიანი, ჯიშანი კატა გახდა.

* * *

ომით უმოწყალოდ დანგრეულ ქალაქში ყველას სტკიოდა და შიოდა, მაგრამ რაღაცნაირად გაჰქონდათ თავი. სამწუხაროდ, უკიდურესი და მძიმე იყო ომს ცოცხლად გადარჩენილი თითო-ოროლა ქართველის ყოველი წუთი, რომელთაც თუ შეამჩნევდნენ, წამებით სიკვდილი ელოდათ. ქალაქში მოთარეშე „ბოევიკები“, აფხაზი მცირერიცხოვანი, მაგრამ დაუნდობელი რაზმის წინამძღოლობით, არაერთხელ შეუვლიდნენ ქუჩებს; ადამიანებს ეროვნული ნიშნით შეურაცხყოფდნენ და ხვრეტდნენ, აყაჩაღებდნენ, ძარცვავდნენ ოჯახებს.

მართალია, ცოცხლად გადაურჩნენ, მაგრამ მსგავსი რამ ორჯერ გამოიარეს შოთამ და ზოიამ. განსაცდელი კიდევ არაერთხელ იყო მოსალოდნელი. ყველაფერი ეს, ომის შემდეგ შექმნილი ვითარება, განსაკუთრებით მძიმედ მოქმედებდა ქალბატონის ჯანმრთელობაზე.

* * *

მიუხედავად ყველაფრისა, ცოლ-ქმარი შემოქმედებით მუშაობას განაგრძობდნენ. ზოიამ, დამთრგუნველი ვითარების მიუხედავად, შეძლო თავისი დიდი ხნის ნაოცნებარი „დიასახლისის წიგნის“ დამთავრება, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ მეუღლემ პირველ რიგში გამოუშვა. გამოცემა საკმაოდ ჩქარა გაიყიდა.

* * *

საყვარელი მეუღლის წინაშე ვალის ღირსეულად მოხდის შემდეგ დაიწყო შოთა ეგრისპირელ-ხოჭავამ საკუთარ შემოქმედებაზე ზრუნვა. გამოსცა არაერთი პოეტური კრებული, თარგმანები და მეტად საინტერესო ნაფიქრალ-ნააზრევი. „ქართული სენტენციები და მცნებათა ინტერპრეტაცია“, რომელსაც ეტაპობრივად დიდი რუდუნებით ქმნიდა.

პროფესორი ც. მესხია პოეტს „ლიტერატურის მებაღეს“ უწოდებს და ერთ-ერთი გამოცემის შესავალში ხაზს უსვამ: „საკმარისია, გადავიკითხოთ წინამდებარე რჩეული და თქვენს წინაშე წამოიმართება ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე მდგარი ბრძენი მოძღვარი, რომელმაც არ იცის, რა არის კომპრომისი, როცა მის სამშობლოს მტრები უტევენ და სანუკვარი აფხაზეთი მიტაცებულია“.

პროფ. ჯ. ჯინჯიხაძე შოთა ეგრისპირელ-ხოჭავას ახასიათებს, როგორც კოლორიტულ პიროვნებას, მასწავლებელს, პოეტსა და მოაზროვნეს, რომელიც გულწრფელად გამოხატავს საკუთარ აზრებს.

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გრ. შარია წერს: „იგი მრავალმხრივი ფილოლოგია, რაც იმას ნიშნავს, რომ არის ათასამდე ლექსის ავტორი, ასევე, ავტორია თარგმანებისა, რომელთა შორის გამორჩეულია ბერძენი ტრაგიკოსის სოფოკლეს „ელექტრა“.

* * *

შოთა ეგრისპირელი-ხოჭავა ახალგაზრდული ასაკიდან ხანდაზმულობამდე განაგრძობდა ლიტერატურულ შემოქმედებით მუშაობას, თუმცა გამოქვეყნებას არ ჩქარობდა.

ბუნებით აქტიური, საოცრად მოძრავი და უსამართლობასთან შეურიგებელი კაცი ერთ ადგილას არ ჩერდებოდა. აფხაზეთში ომის პერიოდში და შემდგომაც ტრიალებდა სოხუმსა და თბილისს შორის. ერთნაირად უყვარდა, ჭირისუფლობდა დიდსა და პატარას.

* * *

სოხუმში დაბრუნებისთანავე როგორც კი სახლის კარს გააღებდა, სჭირდებოდა თუ არა, ბუხარში ცეცხლს დაანთებდა. ცოცის და ფუნთუშა კატას გვერდში მოისვამდა, შეეთამაშებოდა. ასეთ მომენტში ეჩვენებოდა, თითქოს საყვარელი მეუღლე ჩვეული ხალისით ფაციფუცობდა სამზარეულოში და სადაცაა, საღილად დასვამდა ოჯახს.

შემდეგ წამოდგებოდა, ნელი ნაბიჯებით გაივლდა ოთახში; სული და გული აუჩქროლდებოდა, როცა გაიხსენებდა აცელქებულ ლეილასა და რამინს. დედა მათ ღიმილით, მოფერების ძალით პიანინოსთან სკამზე დასვამდა; რიგრიგობით პატარა ხელებს დაუკოცნიდა და თითებს კლავიშებზე დაადებინებდა. სანამ მუსიკის მასწავლებელი კარს შემოაღებდა, თავად ამეცადინებდა....

მართალია, შვილებმა მომავალ პროფესიად ექიმობა აირჩიეს, მაგრამ ბოლომდე დაჰყვათ მუსიკის სიყვარული და პიანინოზე დაკვრაც კარგად გამოუდით.

* * *

ახლა ეს ოთახი ცარიელი იყო. გერმანული მუსიკალური ინსტრუმენტი სხვადასხვა სახის ავეჯთან ერთად მძარცველებმა სოხუმის დაცემის პირველ დღეებშივე გაიტანეს, მაგრამ შოთა ცდილობდა შინაგანი ძალით მეხსიერების სკივრიდან ამოეტივტივებინა მისი ცხოვრების საინტერესო და ემოციური დეტალები და მათი გაცოცხლებით, შეექმნა წუთიერი ბედნიერების იმიტაცია. ახერხებდა ოჯახური აურა, განწყობა შეენარჩუნებინა მაშინაც, როცა ეზოში ფუსფუსებდა, როცა მარანში შედიოდა, სადაც მშვიდობიან წლებში საკუთარი ხელით ნაჟური ქვევრის ღვინით ახალისებდა მეგობრებს. აქედან ხშირად ესმოდათ ახლომახლო გამვლელთ: „მრავალჟამიერი“და „კუჩხიბედინერი“.

* * *

ომით განადგურებულ ქალაქში ნაკლებად გადიოდა, სადაც ადრე მოჭარბებულად მოსეირნე ქართული სახეების ნაცვლად, ჯერ კიდევ გაბოროტებული, კრიჭაშეკრული ადგილობრივი და გადამთიელი „ბოევიკების“ ნარჩენები თვალსაცემი იყო.

* * *

წლებს წლები ცვლიდა. პოეტი კაცი, როგორც იტყვიან, სულ გზაზე იყო გაბმული. სულს უხუთავდა, რომ აფხაზეთში დროდადრო კვლავ ტრიალდებოდა ტრაგედია: კლავდნენ, იტაცებდნენ ქართველებს. მასში შეურიგებელ პროტესტს იწვევდა, რომ გალში, სადაც ლტოლვილების ნაწილი დაბრუნდა, რუსულ-აფხაზური კაცთმოძულე პოლიტიკა ჯოჯოხეთური ცხოვრების პირობებს ქმნიდა. მშობლიურ ენას ართმევდა ქართველობას. ღრმად სტკიოდა და სულიერი სიმძაფრით ავსებდა მას, რომ კოლხეთის ამ უძველეს მიწაზე, ლაზიკა-ეგრისის ნაფუძარზე, სადაც ერთ დროს მეგრელ-ლაზ-ჭანთა „ოდოია“ გუგუნებდა, სისხლიანი მოძალადეები ყოველ ნაბიჯზე მსხვერპლს და ნადავლს დაეძებდნენ.

* * *

დადგა 2017 წლის ზამთარი. მეგობარმა დაგვირეკა: „შაბათს სოხუმს მივდივარო“. კვირას კი გვამცნო: „ვერ შევძლებ წასვლას, რაღაცამ შემბოჭა, ნაბიჯს წინ ვერ ვდგამო“.

გვიჭირდა წარმოდგენა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩანდა, რომ ამ აქტიურ, დაუღალავ, მუდამ ქვეყანაზე, სხვის სიკეთეზე მოფიქრალ შემოქმედს სიკვდილი უახლოვდებოდა...

* * *

შოთა ეგრისპირელ-ხოჭავამ ენგურს გამოღმა, მის საყვარელ თბილისში პოვა მარადიული მიწისქვეშა თავსასთუმალი. ოჯახის დედამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვერ დატოვა სოხუმი და ენგურს გაღმა წევს. ისეთი შეგრძნება მაქვს, არის ამაში რაღაც სიმბოლური!...

* * *

ორი წელი მალე მიიწურება, რაც მწერალი წავიდა ამ ქვეყნიდან. ვფიქრობ, სხვა გამოცემებზე რომ არაფერი ვთქვათ, საინტერესოა და შთამბეჭდავი წიგნი სახელწოდებით: „ვინ ვართ ჩვენ?“ ავტორი ამ კითხვას უპირველესად უსვამს საკუთარ თავს და, შემდეგ ყველას, ვინც ადამის მოდგმიდან მოდის.

ბუნებრივია, ამ კითხვაზე სრულყოფილი პასუხი არავის არა აქვს. მაგრამ მწერალი შთაგვაგონებს, გვასწავლის, რომ ვეცადოთ, ხვალ უკეთესები ვიყოთ, ვიდრე დღეს! ბატონი შოთა ეგრისპირელი-ხოჭავა არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირისა და საქართველოს ფაზისის საერო აკადემიის წევრი.

* * *

ძ. სოხუმი, სკოლის ქუჩა №20, ჭიშკარგადარაზულ მდიდრულად განაშენიანებულ ეზოში დგას ლამაზი ორსართულიანი სახლი უკეთესი მომავლის რწმენით, რომ ხვალ, ზეგ, მაზეგ... როცა იქნება, ამ ჭიშკარს გააღებენ შოთა ეგრისპირელი-ხოჭავას შთამომავალნი და ძველებურად, მამაპაპურად, როგორც მწერალ კაცს უყვარდა, ააგუგუნებენ ბუხარში ცეცხლს და კვლავინდებურად ყურძნის ნაჟურით მარანში ჩამარხულ ქვევრებს აავსებენ...

* * *

...თან მდევს ფიქრი მწერალზე, რომელიც ოცნებობდა, ფიქრობდა, წერდა და სჯიდა. თავისებურად გაიაზრებდა და ესმოდა ამ წუთისოფლის ორომტრიალი. ის მუდმივად ეძებდა პასუხებს ცხოვრების, სიკვდილ-სიცოცხლის არსზე.

დონა კოლხი – დოდო ნარმანია
(558 340 771)

სანთელი

დემურ და დათო გადელიები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ დალი და პეტრე ბერაიებს ქალბატონ

რაისა გვარამია-წითლიძის

გარდაცვალების გამო.

ლორენცო შარანგია თანაუგრძნობს დალი და პეტრე ბერაიებს დედისა და სიდედრის

რაისა გვარამიას

გარდაცვალების გამო.

კუს ტბის საზოგადოება სამძიმარს უცხადებს დალი და პეტრე ბერაიებს დედისა და სიდედრის

რაისა გვარამიას

გარდაცვალების გამო.

ევროპა ანომალიური სიცხის მეორე ტალღამ მოიცვა

„ბიბისის“ ინფორმაციით, საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ქალაქ ბორდოში, რეკორდულად მაღალი ტემპერატურა 41,2 გრადუსი ცელსიუსი დაფიქსირდა.

რაც შეეხება საფრანგეთის დედაქალაქს, ქვეყნის მეტეოროლოგიური სამსახურის ცნობით, უახლოეს დღეებში ტემპერატურის მხრივ რეკორდი შესაძლოა, პარიზშიც დამყარდეს. ყველაზე მაღალი ტემპერატურა საფრანგეთის დედაქალაქში 1947 წელს დაფიქსირდა. მაშინ ჰაერის ტემპერატურამ 40,4 გრადუს ცელსიუსს მიაღწია.

„ბიბისი“ იუწყება, რომ რეკორდულად მაღალი ტემპერატურა ამ კვირაში ევროპის სხვა ქვეყნებშიც დაფიქსირდება. მათ შორისაა ესპანეთიც, სადაც სარაგოსას რეგიონის ხელისუფლებამ განგაშის წითელი ნიშნული გამოაცხადა. სიცხის ტალღა მოიცავს ბელგიას და ნიდერლანდებსაც.

რიკოთზე ოთხზოლიანი გზის მშენებლობა დაიწყო

რიკოთის საუღელტეხილო გზის ხევი-უბისას მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ამ დროისთვის მოსამზადებელი სამუშაოები, სამშენებლო მოედნის გასუფთავება, ნაყოფიერი ფენის მოხსნა,ბანაკებისა და ქარხნების მოწყობის სამუშაოები, კომუნიკაციის გადატანის პროექტის მომზადება და ნარჩენების განსათავსებელი ადგილის შერჩევა მიმდინარეობს.

სამშენებლო სამუშაოებს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი ქარსელაძე და მისი მოადგილე ლევან კუპატაშვილი ადგილზე გაეცნენ.

გზების დეპარტამენტის ცნობით, პროექტი, ხევი-უბისას 12,2 კმ-იან მონაკვეთზე ოთხზოლიანი გზის მშენებლობას ითვალისწინებს. აღნიშნულ მონაკვეთზე 35 ახალი ხიდისა (18 ხიდი — თბილისი-არგვეთას მიმართულებით, ხოლო, 17 — არგვეთა-თბილისის მიმართულებით) და 20 გვირაბის მშენებლობა იგეგმება. მოხდება ხელოვნური ნაგებობების, წყალგამტარი მილების, შესაბამისი სადრენაჟო სისტემების მოწყობა. გატარდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ღონისძიებები. ასევე დაგეგმილია 3 სატრანსპორტო კვანძის მოწყობა. პირველი კვანძი ხუნევსა და ვერტყვიჭალას შორის მოეწყობა, მეორე კვანძი — საქასრიაში, ხოლო მესამე კვანძი — ბორითში.

ხევი-უბისას 12.2 კმ-იანი მონაკვეთის (II სექცია) მშენებლობას აზიის განვითარების ბანკი (ADB) აფინანსებს. აღნიშნული მონაკვეთი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაივლის.

პროექტის ღირებულება 732 296 478 ლარია და სამუშაოების დასრულება 2022 წლისთვისაა დაგეგმილი.

დანია სანტა კლაუსების კონგრესს მასპინძლობს

ევროპულ ქვეყანაში მიმდინარე ღონისძიებაში მონაწილეობას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასული 150 სანტა კლაუსი იღებს. რიგით 62-ე კონგრესი დედაქალაქ კოპენჰაგენის შემოგარენში, ბაკენის უძველეს გასართობ პარკში მიმდინარეობს.

რამდენიმედღიანი ღონისძიების ფარგლებში ტერიტორიაზე იმართება წვეულებები, პერფორმანსები და სხვადასხვა კონკურსი.

საერთაშორისო სახალისო ღონისძიება პირველად 1957 წელს გაიმართა. მას შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან სანტა-კლაუსები ერთმანეთს ზაფხულში ყოველწლიურად ხვდებიან.

რუსეთის დუმის დეპუტატს ოლიმპიური ოქროს მედალი ჩამოართვეს

თავისუფალი სტილით მოჭიდავე არტურ ტაიმაზოვს, რომელიც უზბეკეთის სახელით გამოდიოდა, 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი ჩამოერთვა.

ტაიმაზოვი, რომელიც დღეს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატია, 120-კილოგრამამდე წონაში გახდა ჩემპიონი. მოგვიანებით, ლონდონის ოლიმპიადის დოპინგ-ტესტების გადამოწმებამ მის სინჯში აღმოაჩინა სტეროიდი ორალ-ტურინაბოლი, — დაწერა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა.

ტაიმაზოვისთვის ოქროს მედლის ჩამორთმევის შემდეგ, ოლიმპიური ჩემპიონობა უნდა მინიჭებოდა ქართველ დავით მოძმანაშვილს, მაგრამ ამა წლის იანვარში მისი შედეგები გაუქმდა ასევე აკრძალული პრეპარატების მიღების გამო. შესაბამისად, ამ წონას 2012 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი არ ჰყავს.

ოლიმპიადის მედლები ნახმარი მობილური ტელეფონებისგან

ტოკიოს ოლიმპიური თამაშების მედლები მთლიანად გადამუშავებული მეორადი პროდუქციისგან არის დამზადებული.

ორგანიზატორების თქმით, მედლებს გაპრიალებული ქვების ფორმა აქვთ და მათ დასამზადებლად დაახლოებით 32 კილოგრამი ოქრო იქნა ამოღებული 6.2 მილიონი ნახმარი მობილური ტელეფონიდან, რომლებიც იაპონელებმა ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩააბარეს სპეციალურად ამ მიზნისთვის.

ამოღებულ იქნა ასევე 3.5 ტონა ვერცხლი და 2.2 ტონა ბრინჯაო, ჯამში კი 5 000 ოლიმპიური და პარალიმპიური მედალი იქნა დამზადებული.

ოლიმპიური თამაშები ტოკიოში 2020 წლის 24 ივლისიდან 9 აგვისტომდე გაიმართება.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.8971; ევრო - 3.2390;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6066;
100 რუბლი - 4.5838; თურქული ლირა - 0.5100;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7018;
1000 სომხური დრამი - 6.0953.

ამინდი 25 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+27
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+22
თბილისი:	ღამე	+22,	დღე	+31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge